

საბჭოთა მემკვიდრის გავლენაზე თანამედროვე საქართველოზე – გათადინი ბიძიკის სინდრომი¹

THE INFLUENCES OF THE SOVIET PAST ON CONTEMPORARY GEORGIA –
THE PATH DEPENDENCE SYNDROME

დავით დარჩიაშვილი
სრული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

David Darchiashvili
Full Professor, Ilia State University

Summary

Many of those domestic political challenges, faced currently by Georgia, derive from the cultural and social characteristics essentially formed in the Soviet times. To reveal them and show their contemporary mutations, historical institutionalist approach may be found indispensable. Besides, concrete studies within the elite theories' framework, as well as particular works in Georgian contemporary history provide a large body of empirical and comparative material, which helps to draw parallels between the country's Soviet and Post-Soviet forms of existence.

Based particularly on Wilfredo Pareto's concept of psycho-social human types (residues) and their irrational justifications (derivations), this article tries to delineate three layers of Soviet influences over contemporary Georgian socio-political system. The first is the black-n-white, Manichean political discourse, which is a continuation of the Soviet tradition, dividing Georgian political class into hostile camps. The second is the conflict-driven collective memory about the USSR. It partially is based on past and present social stratification and partially contributes to its construction. The third layer of the Soviet heritage, which is still alive and at work, is constituted by governance style and practices.

Of course, the Soviet Union ceased to exist. Its official Marxist-Leninist ideology is dead or substantially marginalized. But that reality is only a tip of the iceberg: the fact that the red banner and atheistic communist beliefs have been substituted for mass religiousness, does not imply that we cannot still witness those very psychological and cultural structures, penetrating contemporary political domains in Georgia, which caused old Soviet dramas.

The author of the article argues that Georgian uneven, bewildering democratization record is as much caused by influences, practices and traditions inherited from the Soviet past, as by contemporary geopolitical or geo-economic troubles. The article also touches upon the theme of elite

¹ წინამდებარე სტატია წარმოადგენს ავტორის მიერ ინგლისურად დაბეჭდილი პუბლიკაციის – Darchiashvili, David. 2018. Soviet Path Dependency as an Impediment to Democratization of Georgia, In: Giga Zedania (ed.), Modernization in Georgia, Theories, Discourses and Realities, Interdisciplinary Studies, 18, Peter Lang, Bern, Switzerland – მნიშვნელოვანწილად გადამუშავებულ ვერსიას. გაფართოებული ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩო, რომელშიც გაზრდილია აქცენტი ისტორიულ ინსტიტუციონალიზმზე. ამავე დროს, თეორიულ ნაწილს დაემატა ელიტების თეორიების თანამედროვე პოსტკომუნისტური ვერსიების მიმოხილვა. საბჭოთა ისტორიისა და სოვეტოლოგიის ანალიზისადმი მიძღვნილ ნაწილს დაემატა უკვე გამოყენებულ თუ სხვა ავტორთა დამატებითი მოსაზრებები (რიჩარდ პაიპსი, ჩარლზ ფერბენქსი, სტივენ ჯონსი, შვილა ფიცაპატრიკი). ქართული პოსტსაბჭოური მაგალითი გამდიდრებულია დამატებითი აქცენტებით.

circulation and reproduction and stresses that representatives of the old communist **Nomenklatura** are still influential on Georgian political scene. It provides the rationale and the blueprint for further quantitative studies in this respect.

The author also brings up the issues of Georgian nationalism, and the periodization of modern Georgian history. For these and above mentioned reasons, he gives a review of academic assessments of the Soviet Social-Political system, dominant in the scholarly world.

Key Words: *Elite, Nomenklatura, Political System, Collective Memory, Political Culture, Georgia, the Soviet Union, Historical Institutionalism, Nationalism, Selective Justice.*

კონცეპტუალური ჩარჩო

დიდი განზოგადებების გარეშე კომპლექსური სოციალური მოვლენების აღწერა შეუძლებელია. სხვანაირად საგანთა არსის წვდომა არ ხდება, თუნდაც ყოველი ასეთი მცდელობა გარდაუვლად სუბიექტური იყოს. როგორც ისტორიის ფილოსოფიით შეპყრობილი რობინ კოლინგვუდი იტყობდა, ამ დარგის ფარგლებში შემუშავებული დასკვნა არ გამოირჩევა იძულების უნარით. იგი მხოლოდ ნებას გვაძლევს, რომ დასაშვებად მივიჩნიოთ (Коллингвуд 1980, 250). ოღონდ, კლასიკური ბრიტანული ისტორიოგრაფია ქადაგებდა (რომლის კოჰორტასაც კოლინგვუდი მიეკუთვნებოდა), რომ ამგვარ მცდელობებს თავის-თავადი ღირებულება გააჩნია, რადგან ისტორია აზროვნების ფორმაა, რომლის ფარგლებშიც სამყარო წარსულის გადმოსახედიდან გაიგება. მისი განვითარება არა იმდენად ახალი ფაქტების აღმოჩენაზე დგას, რამდენადაც ახალი იდეის წყალობით ძველი იდეების გარდაქმნაზე (Коллингвуд 1980, 147).

მივიღებთ მსგავს მსჯელობას თუ არა, უდავოა, რომ ჩვენ გვჭირდება იმის გააზრება, თუ რა იდეებს და რწმენებს მიყავს საზოგადოება ამქვეყნიური ჯოჯოხეთისაკენ, რათა ისტორიული დრამები ნაკლებად მეორედებოდეს. პოსტ-საბჭოთა სივრცის საზოგადოებებისათვის უახლესი დრამაც და ტრაგედიაც საბჭოთა წარსულია. მისი 70 წლიანი არსებობის იდეაციური საფუძვლების და მათგან მომდინარე პრაქტიკების კვლევა არა მხოლოდ ისტორიკოსთა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისთვისაა საჭირო: თუ გვინდა თანამედროვე სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული პრობლემების გადაჭრა, ვერაფრით ავარიდებთ თავს მათ მიზეზებზე თუ სათავეებზე ფიქრს. წინამდებარე სტატიის ჰიპოთეზა ისაა, რომ კომუნისტური იდეოლოგიის დამარცხების, სსრკ-ს დანგრევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მიუხედავად, საბჭოური იდეები და პრაქტიკები ისევ ჩვენ გვერდითაა – როგორც მეტნაკლებად იგივე, ისე მუტირებული სახით. შესაბამისად, ქართული პოლიტიკური სისტემა, როგორც ძალაუფლების მოპოვების, გადაცემის, გამოყენების და კონტროლის ქართული ვარიანტი, რაც პოლიტიკური ქცევის ფორმალურ და არაფორმალურ სტანდარტებსა და სხვა სოციალურ (მაგალითად, ეკონომიკურ) სისტემებთან მიმართებასაც გულისხმობს,² კვლავ საზრდოობს საბჭოური გამოცდილებით – უნდა და აღიარებს ამას პოლიტიკური კლასი, თუ არა.

2 პოლიტიკურ სისტემებზე, როგორც არა მხოლოდ სამართლებრივ-კონსტიტუციურ ორგანიზაციებზე, არამედ ეკონომიკურ და კულტურულ სისტემებთან დაკავშირებულ პრაქტიკებზე, იხ. მაგალითად D. Alan Heslop, Political System, Encyclopedia Britannica <https://www.britannica.com/topic/political-system/Typologies-of-government> ან, უფრო კონკრეტულად, Stephen V. Monsma, American Politics (A System Approach), Second Edition, The Dryden Press, Hinsdale, Illinois 1973

ამგვარად, შემოთავაზებული მსჯელობა დღევანდელი ქართული სოციალურ-პოლიტიკური რეალობის შეცნობას ემსახურება. გარკვეულწილად, ეს უკვე ისტორიაა, რადგან აწმყო წამია და ისტორიაზე თეორეტიზირების მოყვარულნი არასოდეს მიჯნავენ წარსულს და აწმყოს ჩინური კედლით. ოღონდ სტატიაში ჩვენი უახლესი აწმყო/წარსულის გააზრება ცოტა უფრო ადრინდელი, საბჭოური გამოცდილების გახსენებით ხდება – ასე ვთქვათ – დიაქრონულ ჭრილში. თუ ისტორიული კვლევის ლოგიკას და ფილოსოფიას პოლიტიკური მეცნიერების ერთი გავაზრებით, ამ მიდგომას შეიძლება ისტორიული ინსტიტუციონალიზმის პარადიგმის ფარგლებში მოვუძებნოთ ადგილი.

ეგრეთ წოდებული ისტორიული ინსტიტუციონალიზმი, რომელიც საზოგადოებებში არსებული ფორმალური წესების, ოპერაციული პრაქტიკების თუ პროცედურების განგრძობით გავლენებს სწავლობს, ამტკიცებს, რომ დიდ კითხვებზე პასუხები ხანგრძლივადიანი ისტორიული ლანდშაფტების ანალიზშია. ამ თეორიული მიდგომით, რომელიც პოლიტიკის მეცნიერებაში 90-იან წლებში განვითარდა, წარსულიდან ნაანდერძევი ინსტიტუტები (გაგებული ფორმალურ და არაფორმალურ პრაქტიკებად. დ.დ.) განაპირობებს თანამედროვე ინტერესებს და პოლიტიკების შინაარსს (Farrall et al. 2014, 4).

Path Dependency ანუ „გათელილი გზის სინდრომი“, ისტორიულ ინსტიტუციონალიზმთან წილნაყარი იმდაგვარი თეორიაა, რომელიც შეიძლება საბჭოთა მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის გააზრებაში დაგვემაროს. საბეჭდი მანქანის კლავიატურის, Qwerty-ს პოპულარობის პოლ დევიდისეული ეკონომიკური ისტორია ამ თეორიის საფუძველი გახდა (Boas 2007, 35). მისი მთავარი არგუმენტია, რომ ადამიანები ხშირად ხდებიან ურთიერთობათა, ტრანზაქციათა გამძლე ქარგების მსხვერპლნი. ბაზარზე ამ დიზაინის კლავიატურას დიდხანს ვერაფერი უწევდა კონკურენციას, თუმცა კი გაუმჯობესებული ვერსიების ნაკლებობა არ იყო: მომხმარებელს ერთხელ ნასწავლი და ჩვევად ქცეული Qwerty-თ ბეჭდვა ერჩივნა. პოლიტოლოგებმა ეს კონცეფცია აიტაცეს და პოლიტიკურ პროცესებში ჩვევების, ტრადიციათა თუ ინერციათა ანალიზს მიუსადაგეს.

სოციალურ მეცნიერებებში ისტორიულ ინსტიტუციონალიზმს ყველა არ სწყალობს. კრიტიკოსები თვლიან, რომ ასეთი მიდგომა თანამედროვე პოლიტიკური ტენდენციების შესაძლო ახსნათა დიაპაზონს ავიწროებს: ინსტიტუტების მშენებლობა მიმდინარე პროცესია და იგი წარსულის ეპოქალურ მომენტებამდე ვერ დაიყვანება (Jepperson et al. 1996, 71). თუმცა, „გათელილი გზის სინდრომი“, როგორადაც იგი პოლიტიკურ მეცნიერებებში გაიგება, ასევე უშვებს ინსტიტუტთა და პრაქტიკათა თანდათანობითი ცვლილებების აკუმულაციას (Boas 2007, 39). სხვაგვარად პროგრესის ფენომენი სრულად უარყოფილი იქნებოდა. ცვლილება და განგრძობადობა ნებისმიერი სოციალური რეალობის განუყოფელი ფაქტორებია. ისტორიული ინსტიტუციონალიზმი იმას შეგვახსენებს მხოლოდ, რომ მიმდინარე პროცესებს აქვთ ფესვები და რომ ზოგჯერ წარსული თანამედროვე აღქმებსა და ქცევებს განსაზღვრავს (Farrall et al. 2014, 4).

კიდევ ერთი მიდგომა, რომელიც, ისტორიულ ინსტიტუციონალიზმთან ერთად, შეიძლება საბჭოთა „ბილიკების“ განგრძობად გავლენათა ანალიზისათვის სოციოლოგიიდან და პოლიტიკური მეცნიერებიდან ვისესხოთ, ელიტების თეორიაა. თავად ისტორიული ინსტიტუციონალიზმიც ზოგჯერ არა მხოლოდ გარდასულ დროთა კონტექსტში ჩასახულ და დღემდე გავლენიან ინსტიტუტებზე, არამედ ისტორიულ ფიგურათა თუ ინდივიდთა ჯგუფების მიერ ნათამაშებ როლებზე ამახვილებს ყურადღებას (Farrall et al. 2014, 4).

მე-19 საუკუნის მიწურულს იტალიურ სამეცნიერო წრეებში ჩასახვიდან დღემდე, ელიტების თეორია, არსებითად, ორ გარემოებაზე მიგვიბრუნებს: 1. დემოკრატიის პირობებშიც კი, პოლიტიკურ პროცესებზე გავლენები არათანაბარია – რიგი ნიშნებით (რომლებზედაც კამათია) გამორჩეული ადამიანები არაპროპორციულად დიდ ძალაუფლებას ფლობენ. 2. მათ მიერ არჩეული მმართველობის სტილი და მისი ლეგიტიმაციისათვის შექმნილი ნორმები თუ ნარატივები დროში საკმაოდ გამძლეა, თუმცა არა უცვლელი.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ვილფრედო პარეტოს და გაეტანო მოსკას მიერ შემუშავებული თეორიები უფრო პოლიტიკურ ელიტათა თუ მმართველი კლასების ფორმირების და ქცევის სისტემურ მახასიათებლებს წარმოადგენს, ვიდრე ისტორიული ინსტიტუციონალიზმის ნაირსახეობას. მაგრამ ელიტათა შიგნით მუდმივად მიმდინარე კონფლიქტების და ვერტიკალური ცირკულარიის მათეული ხედვა, ისევე როგორც მმართველთა „რეზიდუებისა“ თუ მათი მალეგეტიმიზირებელი „დერივაციების“³ მნიშვნელობები ინტენსიურად გამოიყენება თანამედროვე მმართველი ელიტების შესწავლისას. პოსტ-საბჭოურ თუ პოსტ-კომუნისტურ კვლევებში მაინც, პარეტოს და მოსკას მიგნებები ლოგიკურად ებმის ისტორიული ინსტიტუციონალიზმის პარადიგმას.

ელიტების თანამედროვე მკვლევრების მნიშვნელოვანი მიგნება, რაც ჩვენი ქეისისათვის რელევანტურია, ელიტათა ტიპოლოგიაა. ჯონ ჰიგლისა და მისი კოლეგებისათვის კომუნისტური, ისევე როგორც ფაშისტური მმართველი კლასები ე.წ. იდეოლოგიურად უნიფიცირებულ, მკაცრად იერარქიზებულ ელიტებს წარმოადგენდა. მაგრამ ეს ავტორები ვარაუდობდნენ, რომ პოსტ-კომუნისტური სამყარო არა იმდენად თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიებისათვის დამახასიათებელ, “თანხმობით უნიფიცირებულ“, არამედ „დაშლილი“ ელიტების ხელში აღმოჩნდებოდა (Field et al. 1990, 154).

ელიტის „დაშლილი“ ტიპი ურთიერთდაპირისპირებული ფრაქციების არსებობას გულისხმობს. მისი წარმომადგენლები „ვერ თანხმდებიან წესებზე, პოლიტიკური ქცევის კოდებზე და არსებული ინსტიტუტების ღირებულებაზე“ (Field et al. 1990, 154). შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი რამ საბჭოთა კავშირში აღარ შეინიშნებოდა სტალინის და ტროცკის დაპირისპირების შემდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი კომუნისტური პარტიის სტრუქტურის ლეგიტიმიზმს ეჭვქვეშ აყენებდა. მაგრამ სწორედ საბჭოურ მმართველობაში ჩაკირული კლანურობა, კონსპირაციებისაკენ მიდრეკილება ქმნიდა პარეტოსეული „რეზიდუებისა“ და „დერივაციების“ იმ ელიტურ თუ მასობრივ ფსიქოტიპებს, რომელთა გარეგნული, კომუ-

3 ვილფრედო პარეტოს ლექსიკით, დერივაცია ამა თუ იმ ერთობისათვის დამახასიათებელი ფსიქოტიპების და ქცევების რაციონალიზაცია, ანუ გამართლების, იდეოლოგიზირების მცდელობებია. პარეტო როგორც იმპულსურ, ინსტიქტურ დამოკიდებულებებს და ქცევებს (რასაც იგი რეზიდუებად ნათლავს) ისე მათ ფსევდო-ლოგიკურ რაციონალიზაციებს მმართველი ელიტების ფუნქციონირების და ცირკულაციის განმსაზღვრელ ცვლადებად მიიჩნევს. მისთვის საკვანძოა (მაგრამ არაერთადერთია) ადამიანთა ორი – ინსპირაციულ-ინოვაციური და ჯგუფურობაზე ჩაჭიდებული – ფსიქოტიპი ანუ რეზიდუე, რომელთა დერივაციებიც ან მტკიცებებზეა ბაზირებული, ან უპირობო ავტორიტეტებზე. იხ. Vilfredo Pareto, Mind and Society, Treatise on General Sociology, Jonathan Cape Ltd, 1935, London <https://archive.org/stream/mindandsocietyvo029091mbp#page/n9/mode/2up> რეზიდუმიზირებული ვარიანტი ამ მეტად დიდი ნაშრომისა, რომლის ავტორიც აღნიშნავს, რომ პარეტოს თეორია ბევრი მკითხველისათვის ზედმეტად კომპლექსურია, იხ. WD Parker, RR Prechter Jr, (2006) The Socionomic Theory of Finance and the Institution of Social Mood: Pareto and the Sociology of Instinct and Rationalization https://www.researchgate.net/profile/Robert_Prechter/publication/228668277_The_Socionomic_Theory_of_Finance_and_the_Institution_of_Social_Mood_Pareto_and_the_Sociology_of_Instinct_and_Rationalization/links/588104b5aca272b7b4417241/The-Socionomic-Theory-of-Finance-and-the-Institution-of-Social-Mood-Pareto-and-the-Sociology-of-Instinct-and-Rationalization.pdf

ნისტური იდეოლოგიიდან მომდინარე საბურველის მოცილება „ჯინს ამოუშვებდა ბოთლი-დან“ შესაბამისად, მმართველობის და მმართველთა ამგვარი პოსტ-საბჭოურ/პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაცია path dependency-ს ლოგიკით შეიძლება იყოს განპირობებული. ოღონდ, ამ შემთხვევაში, „გაკვალი ბილიკის სინდრომი“ არა წარსული იდეოლოგიური კლიშეების შენარჩუნებაში, არამედ, ახალი „დროშების“ მიღმა, ძველი პოლიტიკური პრაქტიკების და ჩვევების განმეორებაშია, სადაც ძალადობას საკვანძო ადგილი უკავია.

საბჭოური სოციალურ-პოლიტიკური მემკვიდრეობის გასააზრებლად საინტერესოა უშუალოდ პოსტ-კომუნისტური ელიტების კვლევები. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის აკადემიურ წრეებში ელიტის კლასიკურმა თეორიებმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა. ბულგარელი პოლიტიკის მეცნიერის ემილია ზანკინას სადოქტორო დისერტაცია (Zankina 2010) იძლევა ამ კვლევათა ზოგად სურათს, სადაც მოსკა-პარეტოს კლასიკურ კონცეფციათა ივან და შონია სელენებისეული ინტერპრეტაციაა საკვანძო. ზანკინასათვის პოსტკომუნისტური ტრანზიციის პროცესში ელიტის ქმედება გადამწყვეტია, ხოლო თავად ქმედება ელიტის შემადგენლობით და რეკრუტირების წესითაა განპირობებული.

პოსტკომუნისტური ელიტის ფორმირებაში ზანკინა ყურადღებას ამახვილებს ე.წ. ცირკულაციისა და რეპროდუქციის მოდელებზე, რითაც პოსტკომუნისტური ქვეყნის განსხვავებული ტრანსფორმაციული ტრეკტორიები აიხსნება (Zankina 2010, 14-15). სელენების თუ სხვა ავტორთა ნაშრომებზე დაყრდნობით, ზანკინა ასკვნის, რომ ელიტათა პოსტკომუნისტური ტრანსფორმირების პრაქტიკა მეტნაკლებად ყველგან შეიცავდა ამ ორი მოდელის ნაზავს: ცირკულაცია ანუ განახლება, თავსდებოდა რეპროდუქციასთან, ანუ კომუნისტური ელიტის რეგენერაციასთან. მისი თქმით, ეს ცვლილებები არა რევოლუციურ, არამედ „ბილიკზე დამოკიდებულ“ ტრანსფორმაციას წარმოადგენდა, რომლის დროსაც ძველი ელიტის საშუალო რგოლი იკავებდა წამყვან პოზიციებს ახალ ელიტაში (Zankina 2010, 17-18).

ზანკინა სპეციალურად გამოყოფს ისეთ კვლევებსაც, რომელთა თანახმადაც პოსტკომუნისტური ელიტის რეპროდუქციაში ინტერგენერაციული, ანუ თაობათაშორისი ასპექტია მთავარი. იგი გულისხმობს ახალ ვითარებებში ძველი ელიტის შვილების დაწინაურებას (Zankina 2010, 21). უშუალოდ ბულგარულ პოსტკომუნისტურ ელიტაზე საუბრისას, რაც მისი დისერტაციის მთავარი თემაა, ზანკინა აცხადებს, რომ ამ ქვეყანაში, ისევე როგორც რუმინეთსა და რუსეთში, ძველმა ელიტამ რეპროდუქცირება დემოკრატიული არჩევნების შემდეგაც მოახერხა და ელიტის ღრმა ცირკულაციას ადგილი არ ქონია (Zankina 2010, 26).

წარმოდგენილი თეორიები და მოდელები საქართველოს პოსტ-საბჭოურობის კონსტრუირების ჩარჩოს ქმნის. წინამდებარე სტატია ამგვარი კონსტრუქციის მხოლოდ კონსტრუქტებს ადგენს, რადგან თანამედროვე ქართული პოლიტიკური ელიტის კომპოზიციისა და რეკრუტირების ხაზების შესწავლას, მინიმუმ, ათეულობით ინდივიდუალური ბიოგრაფიის ანალიზი სჭირდება. სტატიაში მოცემულია ზოგადი მონახაზი იმ ცვლადებისა, რომლებითაც საბჭოურ-პოსტსაბჭოური პარალელები ჩანს. ესაა მართვის და პოლიტიკური დისკურსის მსგავსებები, აგრეთვე საზოგადოებრივი მესხიერება იმ მოვლენების შესახებ, რასაც საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში ჰქონდა ადგილი. ვფიქრობ, ეს მესხიერება დღევანდელი ქართული პოლიტიკური სპექტრის ფორმირების, მისი სხვადასხვა პოლუსების კონფორტაციულობის ერთ-ერთი მიზეზთაგანია.

თანამედროვე საქართველოს მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის არასრულყოფილება საბჭოური ბილიკების სისტემური მახასიათებლებითაა განპირობებული. უსაფრთხოებისა და დემოკრატიის გამოწვევებთან ჭიდილში, იგი თითქოს დაიჭედა ადამიანთა უფლებების პოსტ-მოდერნულ ლოგიკასა და ძალაუფლების საბჭოურ, კვაზი-მოდერნულ კონცეფციას შორის. ამიტომაც აუცილებელი თანამედროვე ქართული სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკის არა მხოლოდ სინქრონული, არამედ დიაქრონული კვლევა, რისი საწინდარიც ისტორიული ინსტიტუციონალიზმის მიდგომებია.

ისტორიულ მეცნიერებაში კარგად ცნობილი *longue durée*, ანუ ხანგრძლივი დროითი მონაკვეთების შესწავლის ტრადიცია, რომელიც ფრანგი ისტორიკოსის მარკ ბლოკის სახელს უკავშირდება, შესაძლოა საბჭოურ ბილიკზე დამოკიდებულების მიდგომისათვის გამოწვევა იყოს: გაჩნდეს კითხვა, განა მარტო საბჭოთა მონაკვეთით შემოიფარგლება წარსულის კულტურულ-ინსტიტუციონალური გავლენები თანამედროვეობაზე? იქნებ ჩვენი დემოკრატიზაციის ნაკლოვანებები ფეოდალური ეპოქის ანდა სულაც ზედროითი, ბუნებითი ფაქტორების შედეგია? კითხვა ლეგიტიმურია – სოციალურ მეცნიერებებში არანაირი თეორია თუ კონცეპტუალიზაცია არ შეიძლება იყოს აბსოლუტური. მაგრამ ისტორიული ინსტიტუციონალიზმი, გაკვალულ ბილიკზე დამოკიდებულების თეორია თუ ელიტების ცირკულაცია/რეპროდუქცია უფრო მოკლე ისტორიულ პერიოდებზე აკეთებს აქცენტს და საამისოდ ლოგიკური ახსნებიც გააჩნია. ის, რაც წარსულიდან თანამედროვეობაში რეზონირებს, როგორც წესი, რამდენიმე თაობის ფარგლებში აკუმულირებულ-კრისტალიზებული გამოცდილებით გვეძლევა ხოლმე. ასეც რომ არ იყოს, საბჭოთა წყობამ უპრეცედენტო მასშტაბით გადაასხვაფერა საზოგადოებრივი სტრუქტურები და რაც უფრო შორეულ დროებზე გვახსოვს, ესეც, მნიშვნელოვანწილად, საბჭოთა პერიოდის ნარატივებითა და იდეოლოგიური ფილტრებითაა კონსტრუირებული.

ყოველივე ამაზე კონკრეტული საუბარი ქვემოთ იქნება. ავტორისთვის მთავარი აკადემიური გამოწვევა კი ისაა, რომ როგორც დევიდ ლაიტინი ამბობდა, პოსტ-საბჭოთა პოლიტიკების საბჭოურ ბილიკებზე დამოკიდებულება ინტუიტიურად ცხადია, მაგრამ ამ დამოკიდებულებათა ზუსტი იდენტიფიცირება მეტად რთულია (Laitin 2000, 136).

საბჭოთა წარსულის მონახაზი

საბჭოთა კავშირის წარსულსა და არსზე შექმნილი აკადემიური ნაშრომების მიმოხილვას ამ სტატიის ფორმატი ნამდვილად არ ეყოფა. თანაც მსგავსი ამოცანა არაერთ მკვლევარს დაუსახავს და, თავისი შესაძლებლობებისა თუ პრიორიტეტების ფარგლებში, გადაუწყვეტია. მაგრამ საქართველოს კონტექსტში გათელილი გზის სინდრომზე მსჯელობა თავისთავად ითხოვს სოვეტოლოგიის თუ რუსეთის უახლესი ისტორიის რიგ, კლასიკად ქცეულ ტექსტებთან დაბრუნებას. საბჭოური პოლიტიკური სისტემის და მასთან დაკავშირებული მენტალური სტრუქტურების დღემდე განგრძობად გავლენებზე წერა მათ ზოგიერთ მახასიათებელზე არსებული ინტერპრეტაციების გახსენებას საჭიროებს.

საბჭოთა კავშირი იმართებოდა იატაკქვეშა მეთოდებში დახელოვებული ადამიანების მიერ, რომელთაც, სავარაუდოდ, ისტორიის მანძილზე, ამაში ვერავინ გაუწევდა კონკურენციას – წერდა ჯორჯ კენანი 1946 წელს (Kennan 1946). საერთაშორისო პოლიტიკის

ერთ-ერთი გამორჩეული ანალიტიკოსის ამ ადრეულ შეფასებას (მაშინ კენანი მოსკოვში მოღვაწე ახალგაზრდა ამერიკელი დიპლომატი იყო) დღემდე არავინ შეწინააღმდეგებია: იატაკქვეშეთი იყო და არის მანიქველური აზროვნების და ძალადობრივი ქმედებების სამჭედლო. ეს სკოლა „წარმატებით“ ჰქონდა დამთავრებული პირველი თაობის ბოლშევიკური პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს, რომელთათვისაც დამახასიათებელი „რეზიდუები“ და „დერივაციები“ საბჭოთა მმართველების მომავალი თაობების „ბილიკების“ ფორმირებას ახდენდა. სოციალური ისტორიის რევიზიონისტული სკოლის წარმომადგენლებიც კი, რომელთაც ეჭვი შეჰქონდათ ტოტალიტარიზმის ცნების რელევანტურობაში საბჭოთა კავშირთან მიმართებით და მის წიაღში სოციალურ-პოლიტიკური პლურალიზმის ნიშნებს ხედავდნენ, გვერდს ვერ უვლიდნენ საბჭოთა ელიტის ძალადობრივ ბუნებაზე საუბარს.

მოშე ლევინი ერთ-ერთია რუსეთის დასავლური რევიზიონისტული სოციალური ისტორიის წარმომადგენელთა შორის. რიჩარდ პაიპსი კი ანტისაბჭოთა იდეოლოგიური ბანაკის წარმომადგენელი პოლიტიკის ისტორიკოსია. ამ უკანასკნელს რუსეთის კომუნისტური მმართველობა დიხადაც რომ ტოტალიტარიზმის ნიმუშად მიაჩნდა და მისი ფესვები მოსკოვური ავტორიტარიზმიდან გამოჰყავდა. პაიპსის თქმით, სწორედ მოსკოვის სამთავრო წარმოადგენდა ისეთ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას, სადაც, დასავლური ფეოდალური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, არისტოკრატიაც და ვაჭარ-მრეწველებიც ხელისუფლების ყმებად და არა დემოკრატისა თუ სამოქალაქო საზოგადოების წინამორბედ აგენტებად ყალიბდებოდნენ. პაიპსი თვლიდა, რომ ოპონენტთა თუ დისიდენტთა წინააღმდეგ მიმართული იმპერიული რუსეთის ადმინისტრაციული პრაქტიკები თანამედროვე პოლიციური სახელმწიფოს წინამორბედს წარმოადგენდა (Pipes 1974).

არსებითად, იგივე დასკვნამდე მიდიოდა მოშე ლევინიც, ოლონდ, ტოტალიტარიზმის კონცეფციის თუ ცნების მიუღებლად: ისიც აღიარებდა საბჭოთა სოციალისტური მოდელის ცარისტულ პატრიმონიალურ ფესვებს და, სსრკ-ს არსზე მსჯელობისას, ასკვნიდა, რომ რუსეთის ისტორია ავტორიტარიზმებისა და მათი კრიზისების ლაბორატორია იყო (Lewin 2005, 379).

ამავე დროს, ლევინი საბჭოთა ეპოქის შიდა პერიოდიზაციით და დიფერენციაციით იყო გატაცებული და მიიჩნევდა, რომ ზოგიერთ კომუნისტ ლიდერს უნდოდა და შეეძლო ახალი რუსეთის დემოკრატიზაცია, მაგრამ ამას სტალინის კრიმინალურმა მიდრეკილებებმა შეუშალა ხელი. ახასიათებდა რა სტალინის მმართველობას 20-იანი წლების მიწურულიდან, როგორც ტერორის და ბიუროკრატიზაციის კომბინაციას (Lewin 2005, 79), ლევინი ნიკოლოზ ბუხარინს უფრო მსხვერპლად აღიქვამდა, ვიდრე კომუნისტ მოძალადეთა იგივე კოჰორტის ნაწილად. მსგავსი ლოგიკით სსრკ-ს ბოლო რეფორმატორმა ლიდერმა, მიხაილ გორბაჩოვმა მოახდინა სტალინის ნება-სურვილით დახვრეტილი ბუხარინის რეაბილიტაცია. გორბაჩოვის ლოგიკა სხვა თემაა – მას ძალაუფლების ტექნოლოგიები ამოძრავებდა. მოშე ლევინი კი აკადემიური ცალმხრივობის ტყვეობაში მოექცა, რადგან არ დაუთმო ყურადღება ბუხარინის ცნობილ შეგონებას, რომელიც 1920 წელს იყო დაბეჭდილი. ბუხარინი მიიჩნევდა, რომ „...ისტორიული მასშტაბებიდან გამომდინარე, პროლეტარული იძულების ყველა ფორმა, სიკვდილით დასჯისა და სავალდებულო შრომის ჩათვლით...კომუნისტური კაცობრიობის შექმნის მეთოდია“ (Bukharin 1920, 146). ამ მაგალითიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა კომუნისტური ელიტის დახასიათებაში ჯორჯ კენანის მიდგომა ეგებ ზედმეტად

ზოგადი, მაგრამ უფრო ლოგიკური იყო, ვიდრე მოშე ლევეინისეული დეტალიზაცია/სპეციფიკაციის მცდელობანი. ქსენოფობია და შეუბრალებლობა საბჭოთა კავშირის ყველა დამფუძნებელს ახასიათებდა.

საბჭოთა კავშირის რევიზიონისტული სოციალური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე კითხვადი ავსტრალიელი მკვლევარი, შეილა ფიცპატრიკი აგრეთვე არ სწყალობს ტოტალიტარიზმს, როგორც საბჭოთა სისტემის კონცეპტუალურ კლიშეს. მას საბჭოთა ადამიანების სამყარო ბევრად უფრო მრავალფეროვნად და წინააღმდეგობრივად მიაჩნია, ვიდრე რომელიმე პოლიტოლოგიური მოდელის სქემატური ფარგლები, რაშიც ლოგიკა უდავოდ არის.

ერთ-ერთი უმთავრესი საკვლევი საკითხი ფიცპატრიკისათვის სტალინური ტერორია. მას ამ ტერორის ლოგიკა აინტერესებს და ასკვნის, რომ მართო ტოტალიტარული სისტემის იმპერატივებით იგი ვერ აიხსნება, რადგან ბოლომდე ნათელი არაა თუ რაა ეს იმპერატივები. მისი დასკვნაა, რომ 30-იანი წლების დიდი წმენდა რევოლუციის კონტექსტშია დასაანახი. როგორც საფრანგეთის რევოლუციისათვისაა იაკობინური ტერორი ორგანული – დაკავშირებული მტრების მუდმივ ძიებასთან – ასევეა ასახსნელი სტალინური 1937 წელიც. და ეს არაა მხოლოდ ლიდერთა ნება თუ ბრალი: „ნორმალურ პირობებში ადამიანები უარყოფენ მიდგომას, რომ ჯობია 10 უდანაშაულო დაიღუპოს, ვიდრე ერთი დამნაშავე გადარჩეს. მაგრამ რევოლუციის არანორმალურ პირობებში ადამიანები ხშირად იღებენ ამას...ის, რომ „მტრები“ მასობრივად იქნენ აღმოჩენილნი თავად რევოლუციონერ ლიდერთა შორის, სულაც არაა გასაკვირი საფრანგეთის რევოლუციის მკვლევართათვის“ (Fitzpatrick 2001, 166).

შეილა ფიცპატრიკი აღიარებს საბჭოთა რეპრესიების საშინელ მასშტაბებს და ინფორმირებულია ქვეყნის გეგმიური ინდუსტრიალიზაციის მახინჯ ფორმებზეც, როდესაც ტრაქტორები კონვეირულად კეთდებოდა, ლურსმანი კი დეფიციტი იყო. მაგრამ იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყველა კომუნისტს გულწრფელად ჯეროდა მიმდინარე მოდერნიზაციის პროგრესულობის – იმათაც კი, ვინც ადრე ანტი-სტალინურ ოპოზიციას ეკუთვნოდა. ფიცპატრიკი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდა თაობასა და ქალაქების მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში საბჭოთა რეფორმები ენთუზიაზმს იწვევდა (ibid., 152). მეტიც, მისი თქმით, მნიშვნელოვანი იყო, რომ რევოლუციური ტერორის პარალელურად, სტალინმა შეასუსტა აქცენტები პროლეტარიატის პრივილეგირებულობაზე, გაზარდა ინტელიგენციისა და ბიუროკრატის ანაზღაურება, გარკვეულწილად აღადგინა სკოლებსა და უნივერსიტეტებში ისტორიის სწავლების გმირებზე ორიენტირებული ბურჟუაზიული სტანდარტები (ibid., 155-160). ფიცპატრიკი მუდმივად უბრუნდება ტერორის თემას სტალინურ საბჭოთა კავშირში, ოღონდ ხაზს უსვამს, რომ მისი ზეგავისებრი ბუნება სახალხო მონაწილეების გარეშე ვერ გამოვლინდებოდა (ibid., 168).

ანტისაბჭოთაობის პარალელურად, დასავლეთში მუდამ არსებობდნენ საბჭოთა მოდერნიზაციის მხარდამჭერი მეცნიერები. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ასეთთა რიგს განეკუთვნებოდა ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ედვარდ კარი. მაგრამ ფიცპატრიკის ლოგიკა არც გულუბრყვილობის თუ არაინფორმირებულობის შედეგია და არც ტრადიციული ისტორიოგრაფიის გატაცებისა გრანდიოზული ტრანსფორმაციებით თუ მასშტაბური ფიგურებით. ვფიქრობ, მთლიანობაში შეილა ფიცპატრიკმა გასათვალისწინებელი შტრიხები შეიტანა საბჭოთა სოციუმის ანალიზში, რითაც შექმნა ნარატივთა კორპუსი

პოსტსაბჭოური „ბილიკზე დამოკიდებულების“ კონსტრუირებისათვის. მან საინტერესოდ დაახასიათა ჰომო სოვიეტიკუსი – რიგითი საბჭოთა ადამიანი, რომლის ფორმირებაზე თანაბარ გავლენას ახდენდა ტერორი, ომის მოლოდინი, ოცნება მსოფლიო ბედნიერებაზე და საყოფაცხოვრებო პრობლემების დეფიციტი. ფიცპატრიკის ჰომო სოვიეტიკუსი დეფიციტზე მონადირეა. ამასთან, ფიცპატრიკმა ყურადღება მიაქცია საბჭოთა მართვის სტილს ნებისმიერ დონეზე, რომელიც გამოირჩეოდა კონსულტაციებისა და დებატების მიუღებლობით, სამხედრო სტილის ბრძანებების გაცემით და გეგმის შესასრულებლად ნებისმიერი ფასის გადახდით (Fitzpatrick 1999).

ჰომო სოვიეტიკუსის ფენომენს ქვემოთ დავუბრუნდებით, რათა ვნახოთ პარალელები მასსა და პოსტ-საბჭოთა საშუალო სტატისტიკურ მოქალაქეებს შორის. აქ კი მინდა შევავჯამო და განვაზოგადო სოვეტოლოგიურ-ისტორიოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც დასავლეთის სამეცნიერო წრეებში იქმნებოდა თავად საკვლევი ობიექტის არსებობის დროს. ამ ნაშრომების ავტორთა ნაწილი, მაგალითად ფიცპატრიკი, დღემდე მოღვაწეობს. საბჭოთა კავშირის მმართველობით სისტემაზე, მმართველებზე, საგარეო და საშინაო პოლიტიკის თავისებურებებზე წერენ ახალი ავტორებიც, რომელთა შორისაც პოპულარობით გამოირჩევა სტივენ კოტკინი, ტიმოთი სნაიდერი, სიმონ სებაგ მონტეფიორე. დღეს ამ წრეს შეუერთდა არაერთი რუსი მკვლევარიც, რომელთა წინაპრებს მხოლოდ კომუნისტური ცენზურის პირობებში შეეძლოთ შრომა. მაგრამ ძირითადი მენტალური იმიჯები თუ კონცეფციები უფრო ადრეა შექმნილი.

სსრკ-ს დღემდე შექმნილი და საერთაშორისოდ აღიარებული კონცეპტუალური იმიჯები შეიძლება სამი „იდეალური ტიპის“ მოდელზე იქნას დაყვანილი. ესენია: ა) ტოტალიტარული სახელმწიფო, რომელმაც მოსპო დემოკრატიული მონაწილეობის და პიროვნების ავტონომიურობის მეტნაკლებად მნიშვნელოვანი გამოვლინებანი თუ სივრცე; ბ) კომპლექსური და წინააღმდეგობრივი პოლიტიკური სისტემა, რომელსაც გარკვეული დინამიკა და შიდაპარტიული პლურალიზმი ახასიათებდა და რომელიც ცდილობდა ჩამორჩენილი საზოგადოების ძალისმიერი მეთოდებით მოდერნიზაციას; გ) რუსული საუკუნოვანი ავტორიტარიზმის უბრალო გაგრძელება.⁴ ამ მოდელებში არ შემყავს აკადემიურად მარგინალური, მემარცხენე დასავლური კონცეფცია, რომლის თანახმადაც იმავე სტალინის რეპრესიები რეჟიმის ოპტიმიზაციის რაციონალურ არჩევანს წარმოადგენდა. აქ, ჩვენი მიზნიდან გამომდინარე, არც საბჭოთა და ნაცისტური ტოტალიტარიზმების შედარებითი ანალიზი გვჭირდება, რომლის ზოგიერთი ავტორი მორალურ უპირატესობას მაინც პირველს ანიჭებს.⁵

პირდაპირი გაგებით, საბჭოურ ბილიკზე დამოკიდებულების გამოსავლენად, არც ჩამოთვლილთაგან მესამე მოდელის ძირითადი პოსტულატია ბოლომდე აქტუალური. რა თქმა უნდა, ევრაზიულ სივრცეზე მიმდინარე თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური დრამის უფრო ღრმა ისტორიული კონტექსტუალიზაცია მნიშვნელოვანია და იგი საქართველოსაც ეხება. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვე, საბჭოთა „მოდერნიზაციამ“ მნიშვნელოვანწილად შეცვალა აქაურ საზოგადოებათა რევოლუციამდელი იდეოლოგიური სტრუქტურა. საუკუნეობრივი კულტურა და სტრუქტურები პოსტ-საბჭოთა სცენას მხოლოდ საბჭოური

4 თავის ერთ-ერთ სტატიაში დომენიკ ლივენი (Lieven 1994) იძლევა საბჭოთა კვლევების კონცეპტუალური პლურალიზმის საინტერესო მიმოხილვას.

5 მსგავს შეფასებებს მიმოიხილავს ვინსენტ ბარნეტი (Barnett 2006).

ეპოქის ფილტრების გავლით აღწევდა. ჩვენი ჰიპოთეზისათვის ეს უფრო არსებითია, ვიდრე უფრო ღრმა ისტორიული წიაღსვლა.

რაც შეეხება აქცენტირებას საბჭოურ „მოდერნიზაციაზე“, ანუ მეორე მოდელს, ამ ტერმინის ბრჭყალებში ჩასმა მიზანდასახული ნაბიჯია. როდესაც რიგი ავტორებისა (იგივე შეილა ფიცპატრიკი და მოშე ლევინი) საუბრობს, რომ სტალინის რეჟიმი სისხლიანი, მაგრამ მოდერნიზატორული იყო (Lieven 1994, 197), რადგან ურბანული ცენტრების ზრდას, მასობრივ განათლებას და პოლიტიკის შემდგომ ბიუროკრატიზაციას იწვევდა, სხვები ამ დროს „არქაიზატორულ“ ფენომენთა გაჩენას აღნიშნავენ. ასეთად, პირველ რიგში, პატრონ-კლიენტთა ქსელები მოიაზრება (Maslovski 2015, 48).

მთლიანობაში, ეს მოდელები არც ბოლომდე ურთიერთწინააღმდეგობრივია და ერთმანეთს ავსებს. ტოტალიტარიზმში შეიძლება „მოსკოვიას“ ისტორიული ფესვები დავინახოთ, საბჭოთა მოდერნიზაციაში კი პროგრესირებადი წინააღმდეგობრიობა, რომელმაც სსრკ-ს გაქრობის შემდეგ სრულფასოვნად იჩინა თავი. თანაც, მათი მიმდევრები მრავალ ღირებულ დაკვირვებას გვთავაზობენ ჩვენს მიერ არჩეული, საბჭოთა ბილიკზე დამოკიდებულების თეზისის გასავითარებლად. მაგალითად, თანამედროვე რუსეთის წამყვანი სოციოლოგიური ინსტიტუტის, ლევადა ცენტრის დირექტორი, ლევ გუდკოვი ასკვნის, რომ საბჭოთა ინდივიდის „ფუნდამენტური უნდობლობა სამყაროსადმი და ძალადობასთან ადაპტაცია, ადამიანის ასეთ ტიპს მოდერნული საზოგადოების კომპლექსური სოციალური რეალობებისათვის შეუფერებელს ხდიდა“ (Maslovski 2015, 51). ეს სულაც არ ნიშნავს საბჭოთა მოდერნიზაციის ფენომენის ხელალებით უარყოფას. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა რეალობაში ბიუროკრატიზაცია და ურბანიზაცია თავსდებოდა კვაზი-ფეოდალურ მენტალურ, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებთან. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, საბჭოთა ექსპერიმენტები ბიუროკრატიული ცენტრალიზმის შესუსტებით და „ფეოდალიზმში“ დაბრუნებით დასრულდა: საბჭოთა კავშირის დანგრევას მოყვა პოლიტიკური ძალაუფლების დანაწევრება და შემდგომი პერსონიფიკაცია, მისი შერწყმა მატერიალურ სიმდიდრესთან, რამაც პოსტ-საბჭოური კლექტოკრატია და ფეოდალიზმი წარმოშვა (Fairbanks 2000; Kimmage 2009).

ამ ლოგიკას შეიძლება მოსდევდეს კითხვა, პოლიტიკის და ეკონომიკის პრივატიზაციის პოსტ-საბჭოური ფორმები რუსეთში, საქართველოსა თუ სხვაგან მოდერნიზაციის კომუნისტური ვერსიის წყალობით განვითარდა, თუ მის საწინააღმდეგოდ. თუ საბჭოთა ინდივიდის გუდკოვისეულ შეფასებას მივიღებთ, პასუხი ამ კითხვაზე მაინც საბჭოური ეპოქის ანალიზშია საძიებელი, რაც წყალს ბილიკზე დამოკიდებულების ჰიპოთეზაზე ასხამს: საბჭოთა მოქალაქეების ატომიზაცია, მათი მიდრეკილება პიროვნული გადარჩენის სტრატეგიათა ძიებისაკენ ან, როგორც გუდკოვი ამბობს, მუდმივ ძალადობასთან ადაპტაცია ის მემკვიდრეობაა, რომელიც განაპირობებდა ბილიკზე დამოკიდებულების სინდრომს თითქმის ყველა პოსტ-საბჭოურ საზოგადოებაში. სხვა შედეგი კომუნისტური ნომენკლატურის მმართველობას არ და ვერ მოჰყვებოდა.

ნომენკლატურა შეიცავდა მაღალი რანგის ბიუროკრატის კომუნისტური პარტიის, სამთავრობო და ეკონომიკურ სფეროში, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურის ინსტიტუტებში (Lewin 2005). პარტიის ცენტრალური, რესპუბლიკური და რეგიონალური ცენტრების ნებით შესავსები თანამდებობების ნუსხა, ანუ ნომენკლატურა, მნიშვნელოვანწილად, სტალინის შემოქმედებას წარმოადგენდა. სტალინისავე სურვილით, ნომენკ-

ლატურის წევრები სხვადასხვა კატეგორიების პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მაგრამ მმართველ კლასად სრულფასოვანი ჩამოყალიბებისათვის ნომენკლატურას დესპოტური მმართველისაგან შედარებითი ემანსიპაცია და სტაბილიზაცია ესაჭიროებოდა. სტალინის გარდაცვალებას ესეც მოჰყვა.

ამავე დროს, მმართველობის ხისტი ვერტიკალური სისტემა, რომელიც, პირველი ბოლშევიკების დროიდან დაწყებული, ე.წ. დემოკრატიულ ცენტრალიზმად იწოდებოდა,⁶ ლიდერთა პერსონალური პატრონ-კლიენტური ჯაჭვების ფორმირების ნიადაგს ქმნიდა. როგორც ამ ფენომენის ერთ-ერთი მკვლევარი, ამერიკელი ისტორიკოსი ჩარლზ ფერბენქსი წერდა, კლიენტელიზმი, ანუ მმართველთა ვერტიკალური, მაგრამ არა თანამდებობრივი, არამედ პერსონალურ ლოიალურობაზე აგებული კავშირები, „საბჭოთა პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია“ (Fairbanks 1980). მაგალითისათვის, რომელიც უშუალოდ ეხება საქართველოს, ამით იყო გამორჩეული ლავრენტი ბერია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სტალინის ხელდასმით, საქართველოც და მთელი სამხრეთ კავკასიაც მის ერთგვარად კვაზიფეოდალურ „საპატრონოს“ წარმოადგენდა. ეს გამოიხატებოდა არა რაიმე ფორმალური სტრუქტურით, არამედ მოსკოვში მჯდომ ბერიასა და ტრანსკავკასიური ნომენკლატურის ხელმძღვანელთა პერსონალური, პატრონ-კლიენტური კავშირებით (ibid., 2-4). საინტერესოა, რომ დროდადრო, საბჭოთა ლიდერები, უმაღლეს საფეხურზე მდგომი სტალინის ჩათვლით, „გულახდილად“ გამოდნენ პრაქტიკებს, როდესაც კარიერულ წინსვლაში გადამწყვეტ როლს არა პროფესიონალიზმი, არამედ ნათესაურ-მეგობრული, წარმომავლობასა თუ სამსახურეობრივ სიახლოვეზე დამოკიდებული კავშირები წარმოადგენდა. მაგრამ ეს „გმობა“ თამაშის ნაწილი იყო: იგი მეტოქეებისა თუ შერისხულთა წინააღმდეგ გამოიყენებოდა და გარდაუვლად იცვლებოდა ახალი პატრონ-კლიენტური ჯაჭვების ფორმირებით.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კომუნისტური პარტიის ამდაგვარი სტრატეგიკაცია ნომენკლატურულ კლასად და მასში ჩაქსოვილ პატრონ-კლიენტურ კავშირებად სსრკ-ს კრიზისისა და საბოლოო დამხობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენდა. მაგრამ სავარაუდოა, რომ მსგავსი კლანობრივი პრაქტიკები ისევე არ გამქრალიყო პოსტ-კომუნისტურ სამყაროში, როგორადაც იგი არ ქრებოდა სტალინის თუ მის მემკვიდრეთა მიერ განხორციელებული შერჩევითი შერისხვებისას. არსებითად, საბჭოთა პატრონ-კლიენტობა საუკუნოვან ფეოდალიზმისა და პატრიარქალურობის „ბილიკზე დამოკიდებულების“ ნიშანი იყო. მაგრამ, იმავდროულად, ღრმა სოციალურ-პოლიტიკური ფესვებიდან მას თუნდაც ის გამოარჩევდა, რომ საბჭოთა კლანები, კლასიკური ფეოდალური ანალოგიებისაგან განსხვავებით, არაფორმალურ ანუ მაფიურ წარმონაქმნებს წარმოადგენდა. სწორედ ასეთი, არაფორმალური ნიშნით იქცეოდა კლანურობა თუ პატრონ-კლიენტელიზმი პოსტ-საბჭოთა დემოკრატიული ფასადების სისტემურ მახასიათებლად.

საბჭოთა მართვის სისტემაში პატრონ-კლიენტობის არაფორმალური ინსტიტუტის მნიშვნელობა კარგად ჩანს ქართული მაგალითისადმი მიძღვნილი რონალდ სუნის ნაშრომის ლოგიკიდან – თუმცა კი ეს საკითხი მის ისტორიულ კვლევაში უფრო ფონურია, ვიდრე მთავარი (Sunny 1994). ამასთან, სუნის ნარატივი გვიბიძგებს, რომ ასეთი კლანების ფორმირების გარდაუვალობა არა მხოლოდ მართვის ცენტრალიზებულ და ვერტიკალურ

6 დემოკრატია გულისხმობდა შიდაპარტიულ დისკუსიებს, პარტიის ყრილობის დელეგატთა არჩევნებს. ცენტრალიზმი კი – ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებათა მორჩილებას (ჰეივუდი 2004, 152).

სტრუქტურაში დავინახოთ, არამედ, ისევ ზემოთნახსენები პარეტოს ენით რომ ვთქვათ, კომუნისტური ელიტის რეზიდუებსა და დერივაციებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ვილფრედო პარეტოს მიერ სახელდებული აღნიშნული კატეგორიები, რომლებიც კონკრეტულ ჯგუფთა ფსიქოტიპებს, ქცევებს (რეზიდუე) და ყოველივე ამის ახსნა/გამართლების მცდელობებს (დერივაცია) ეხება, მაინც ზოგადია საიმისოდ, რომ კონკრეტულ ისტორიულ შემთხვევებს ზედმიწევნით მივუსადაგოთ. ასე მაგალითად, რომელ რეზიდუეს მატარებელი იყო საბჭოთა ელიტა პარეტოს კლასიფიკაციის ორი ძირითადი კლასიდან – ინსპირაციულ-ინოვაციური თუ ჯგუფურობაზე ჩაჭიდებული? თავად პარეტოს ამ და სხვა კლასის რეზიდუებიდან და მათი დერივაციებიდან ელიტის ასევე ორი იდეალური ტიპი გამოჰყავს – ე.წ. მელიები და ლომები. პირველნი ინოვაციებთანა და კომპრომისებთან ასოცირდებიან, მეორენი კი სიხისტესთან და, როგორც რევოლუციურ, ისე ტრადიციონალისტურ ძალადობასთან. თუმცა პარეტოს მშვენივრად ესმოდა, რომ რეალურად არსებულ მმართველ კლასებში ამ ტიპების კომბინაცია ხდება. შესაბამისად, საბჭოური მართვისა და მმართველების დეფინიციას მეტი სპეციფიკაცია ესაჭიროება. ვფიქრობ, სწორედ ამ ამოცანისათვისაა საყურადღებო რონალდ სუნის დაკვირვება, რომ იგივე საბჭოთა საქართველო სტალინის სისტემამ ერთ დიდ წარმოებად გარდაქმნა, სადაც სხვადასხვა დონის პოლიტიკური ლიდერები აღმასრულებელ დირექტორებს წარმოადგენდნენ. მათი პარტიული კარიერა დამოკიდებული იყო იმ ფაბრიკა-ქარხნების წარმატებებზე, რომლებიც მათ საკურატორო ტერიტორიებზე იყო განლაგებული. „ხშირად, გამოუვალი სიტუაციებიდან მაქსიმალური წარმატებით თავის დაღწევისათვის, ოფიცოზი მიმართავდა იძულებას, რეპრესიებს, სიცრუეს, კანონთა დარღვევას: საწარმოთა მარცხი მოგონილ მტრებს ბრალდებოდა“ (Suny 1994, 262). სტალინის შემდგომ სისტემამ ერთგვარი ლიბერალიზაცია განიცადა, მაგრამ მმართველობის აღნიშნული ლოგიკა და ფილოსოფია, რომელიც პარეტოს კლასიფიკაციათა საბჭოური მაგალითის მონახაზს ქმნის, არ იცვლებოდა.

პოსტ-საბჭოთა პოლიტიკური სისტემების საბჭოურ ბილიკებზე დამოკიდებულების ძიებაში გვერდს ვერ აუვლით რობერტ ტაკერის მიერ დახატული საბჭოთა კულტურის სურათს (Tucker 1987). ტაკერის აზრითაც ამ კულტურის ფესვები ცარისტულ ეპოქაში იძებნება, მაგრამ იგი სსრკ-ში კრისტალიზირდება და იფურჩქნება. კულტურული ტრადიციის გაგრძელებას ტაკერი გორბაჩოვის რეფორმების ეპოქასა და 90-იანი წლების რუსეთშიც ხედავს. ამ კულტურის ძირითადი ნიშანია პრივატული ფიქრებისა და საჯარო მანიფესტაციების აცდენა.

რუსეთის იმპერია არ კრძალავდა კერძო მეწარმეობას და სამოქალაქო აქტივიზმს. საბოლოო ჯამში, რუსული მრავალპარტიულობაც ცარიზმის დროს ჩაისახა. რევოლუციამდე იდეოლოგიური გაერთიანება თუ რეპრესიები, როგორც კომუნისტებმა განახორციელეს. პოლიტიკური კულტურის დამახასიათებელი გაორება, რაზეც ტაკერი მეტყველებს, ან საზოგადოების ატომიზაცია და ძალადობასთან ადაპტაცია, როგორადაც ამ პროცესს ლევ გუდკოვი აღიქვამს, მანამდე არნახულ სოციალურ და პოლიტიკურ ინჟინერიას ითხოვდა.

სისტემური ძალადობის ზოგად, იოჰან გალტუნგისეულ დეფინიციასზე დაყრდნობით (Galtung 1990, 292), შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა რეჟიმი პირდაპირ, სტრუქტურულ და კულტურულ ძალადობას მანამდე არნახული მასშტაბით ახორციელებდა. აქედან კულტურული, ანუ რეპრესიების გამამართლებელი, ძალადობა პარეტოს დერივაციის კონცეფ-

ციის საბჭოურ მანიფესტაციად წარმოსდგება. იგი მანიქეველური ბუნების ოფიციალურ პროპაგანდაში გამოიხატებოდა. ნებისმიერი ინდივიდი შეიძლებოდა „ხალხის მტრად“ გამოცხადებულიყო. არსებითად, ასეთებად აღიქმებოდნენ „ძველი რეჟიმის“ წარმომადგენლები, აკრძალული პარტიების ყოფილი წევრები თუ სოფლისა და ქალაქის კომერციული წრეები. იგივე იარლიყი შეიძლებოდა გამოყენებულიყო მარქსიზმ-ლენინიზმის იმ მიმდევართათვისაც, რომელნიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, გავლენიან ნომენკლატურულ მოხელეებს, უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლებს თუ, უბრალოდ, მეზობელს არ მოეწონებოდა.

ჯერ კიდევ ვლადიმერ ლენინის და პირველი ბოლშევიკების მიერ დანერგილი დეჰუმანიზაციის ატმოსფერო, რომელიც ადამიანთა სოციალური წარმომავლობით კლასიფიკაციასა და „მტრების“ ამ კრიტერიუმით იდენტიფიცირებას ახდენდა, სტალინმა სისტემის რანგში აიყვანა. შეილა ფიცპატრიკი წერს, რომ 30-იანი წლების დიდი ტერორი შეიძლება ტოტალიტარიზმის მახასიათებლებით, ან მოსალოდნელი ომის შიშით აიხსნას, მაგრამ უფრო დამარწმუნებელი რევოლუციური ინერცია და ლოგიკაა (Fitzpatrick 2001, 4, 166). მსგავს მსჯელობასთან ერთგვარ დისონანსშია ფიცპატრიკის მიერ სსრკ-ს 1936 წლის კონსტიტუციის პოზიტიური შეფასება, რომლის თანახმადაც სოციალურ თანასწორობაზე კონსტიტუციურმა აქცენტირებამ და მუშათა კლასის პოლიტიკური პრივილეგიების გაუქმებამ სტალინი პროლეტარულ-რევოლუციურ მიდგომებს დააცილა (ibid., 155-160). მაგრამ ვფიქრობ, თავისთავად საყურადღებო კონსტიტუციური ცვლილებები პოლიტიკური კულტურის დუალიზმის ტაკერისეულ ანალიზს ამყარებს თუ ავითარებს: თავად ფიცპატრიკიც აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პარალელურად, 1936 წლის 29 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიულ უჯრედებს უგზავნის საიდუმლო წერილს, რომლის თანახმად ყველა კომუნისტის ვალია შენიღბული მტრების გამოვლენა. მტრები იდენტიფიცირებულია, როგორც ყოფილი ტროცკისტულ-ზინოვიევიური კონტრრევოლუციური ბლოკის წარმომადგენლები, რომლებიც მაგნიტივით იზიდავენ...თეთრგვარდიელებს და კულაკებს (ibid., 164). 1938 წლის 17 იანვარს სტალინი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს საყვედურობდა, რომ ესერთა ხაზი გამოვლენილი არ იყო. ბელადი ითხოვდა ყოფილ ესერთა სრულ აღრიცხვას, აღნიშნავდა, რომ ესერები ახლაც არიან ჩაბუდებულნი ბაქოს საწარმოებში და ვნებენ ნავთობმრეწველობას; კითხულობდა, დააპატიმრეს თუ არა აზერბაიჯანში მყოფი ყველა ირანელი (Хлевнюк 2017, 213).

ამ წერილიდან შეიძლება პარანოიის შემოტევაც დავინახოთ და რევოლუციის გაგრძელების ფიცპატრიკისეული ლოგიკაც დავამოწმოთ. მაგრამ ჩვენი სტატიისათვის არსებითი ისაა, თუ როგორ წინააღმდეგობაში იყო მსგავსი დამოკიდებულებები კონსტიტუციურ იდილიასთან. ეს მაგალითები მიმანიშნებელია როგორც პოლიტიკური კულტურის ორგვარ ბუნებაზე, ისე ძალადობის ატმოსფეროზე, რაც ხელს შეუწყობდა ტაკერისეულ, გუდკოვისეულ და არაერთი სხვა მკვლევრის (ფიცპატრიკის ჩათვლით) მიერ გაანალიზებულ „ჰომო სოვიეტიკუსის“ ფორმირებას.

უკვე ბანალურია იმის მტკიცება, რომ სტალინის მმართველობის თითქმის 30 წლიან პერიოდში მმართველი ბიუროკრატის უმაღლესი იერარქიაც არ იყო დაზღვეული კანონის მიღმიერი დაპატიმრებისა თუ ფიზიკური ლიკვიდირებისაგან. სტალინის გარდაცვალებამ ნომენკლატურის ცხოვრება უფრო წინასწარმეტყველებადი და დაცული გახადა.

მაგრამ ჩვევებმა და ნორმებმა, რომელნიც რევოლუციურმა კატაკლიზმებმა და სტალინის რეჟიმმა მოიტანა, სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნა. შეუზღუდავი პოლიტიკური კონტროლისაკენ სწრაფვა, ძალადობის მიმღებლობა, ნულოვან-ჯამური დამოკიდებულება კონფლიქტური სიტუაციების მიმართ საბჭოთა სისტემის მახასიათებელი იყო მთელი მისი არსებობის მანძილზე. რამდენადაც პოლიტიკა სსრკ-ში მოქალაქეთა ცხოვრების ყველა ასპექტში აღწევდა და სამოქალაქო საზოგადოების ავტონომიურობის შანსს არ ტოვებდა, ელიტის ჩვევები და ეთიკა რიგით მოქალაქეებზე ფუნდამენტურ გავლენას ახდენდა.

როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ელიტების თეორია ავითარებს აქსიომატურ დებულებას, რომ, ნებისმიერი რეჟიმის პირობებში, მმართველი უმცირესობა მთელი საზოგადოების და ქვეყნის ბედზე დისპროპორციულ გავლენას ახორციელებს. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ელიტა თუ მმართველი კლასი პოლიტიკური პროცესების ერთადერთი ცვლადი არაა. პარეტოს თანამედროვე, გაეტანო მოსკა შეურყეველი იყო რწმენაში, რომ ორგანიზებული უმცირესობა ყოველთვის ჯაბნის არაორგანიზებულ უმრავლესობას (Mosca 1939, 259). მაგრამ ისიც მშვენივრად აცნობიერებდა, რომ ყველა საზოგადოებაში მმართველი კლასი ქვემოდან ივსება (ibid., 413) და როდესაც ქვედაფენების კომპეტენტური წარმომადგენლები დისკრიმინაციას განიცდიან, ელიტის ცვლილება რევოლუციით ხდება. მოსკა თვლიდა, რომ სწორედ ეს ხდებოდა მე-20 საუკუნის რუსეთში (ibid., 414). ელიტების თანამედროვე მკვლევრები უფრო მკაფიოდ ხსნიან, რომ სტაბილური მმართველობა არა მხოლოდ ელიტის ნებაზეა დამოკიდებული, არამედ მნიშვნელოვანია ფართო მასების როლი, რომლის ინტერესები და ორიენტაციები ზღუდავს მმართველ კლასს (Field et al. 1990, 162, 179).

გაეტანო მოსკაც და ვილფრედო პარეტოც ელიტის ფორმირებაში აქცენტს მის წევრთა მართვის და დარწმუნების უნარებზე აკეთებდნენ. დარწმუნებისათვის საკვანძოა პარეტოს დერივაციათა ძალა, რისი ანალოგიც მოსკასთან დოქტრინებია. ელიტათა შემადგენლობის საზღვრების დასადგენად კი, სოციალური თეორიის განვითარების საუკუნენახევრის მანძილზე, სხვადასხვა კრიტერიუმები გამოიყენებოდა. მთლიანობაში, ვფიქრობ, რომ ლოუელ ფილდის, ჯონ ჰიგლისა და მაიკლ ბარტონის დეფინიცია, რომლის თანახმადაც პოლიტიკურ ელიტაში შედიან იმ ორგანიზაციათა თუ ინსტიტუტთა მმართველები, რომლებიც არსებითად და რეგულარულად ახდენენ გავლენას ნაციონალურ პოლიტიკებზე (ibid., 152), ელიტის თეორიის ყველა ვარიაციისათვისაა მისაღები. მოსკა თანამედროვე მკვლევართა ამ დეფინიციაზე დათანხმდებოდა, ოღონდ ხაზს გაუსვამდა, რომ ელიტის რიგების ქვემოდან შევსების აუცილებლობის მიუხედავად, მის კომპოზიციაში მეტად მნიშვნელოვანია ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემა. ბუნებრივია, მემკვიდრეობითობაში მოსკა მხოლოდ ფეოდალური არისტოკრატის ფორმალურ განგრძობადობას არ გულისხმობდა – მისთვის გადამწყვეტ და ყავლგაუსვლელ ფაქტორს ნეპოტიზმი წარმოადგენდა. ესაა, პატრონ-კლიენტური ქსელების გამოყენებით, ამა ქვეყნის ძლიერთა მიერ საკუთარ შთამომავალთა სარფიან მომავალზე ზრუნვა. ელიტის ფორმირების და გავლენების როგორც თანამედროვე, ისე კლასიკური განმარტებანი პირდაპირ მიესადაგებოდა საბჭოთა ნომენკლატურას მისი არსებობის მანძილზე.

საბჭოურ ბილიკებზე დამოკიდებულების ანალიზის ამოცანის ნაწილია, რომ საბჭოთა ელიტის პოსტ-საბჭოური გაგრძელება დავინახოთ; დავასაბუთოთ, რომ ხმები ქართული ნომენკლატურის პოლიტიკური გარდაცვალების შესახებ გაზვიადებულია. პარეტო ამბობდა, რომ კაცობრიობის ისტორია არისტოკრატის (იგივე ელიტის დ.დ.)

სასაფლაოა. თუმცა, თეზისით ელიტათა ცირკულაციის შესახებ იგი მმართველ კლასის ხანგრძლივადიან განგრძობადობას უსვამდა ხაზს. განგრძობადობა თუ მემკვიდრეობითობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდეს: ა) დოქტრინა-იდეოლოგია-დერივაცია შეიცვალოს, მაგრამ განახლებული ელიტის შემადგენლობაში ძველი გამოცდილების წარმომადგენელთა სიმრავლე იყოს; ბ) რევოლუციური ტრანსფორმაციის შედეგად ელიტა თვისებრივად განახლდეს (გამონაკლისები რომ წესს ადასტურებს, იმის დაშვებით), მაგრამ ძალაუფლების პყრობის/მისთვის ბრძოლის უინი და სტილი (პარეტოსეული რეზიდუე) წარსულიდან გადმოიღვაროს; გ) ახალმა დროებამ მართვის ახალი უნარები მოითხოვოს და ძველმა ელიტამ საზოგადოების წიაღში აღმოცენებულ კონტრ-ელიტას გაუღოს კარი, თუმცა მას მართვის ძველი ქარგაც დაანათლოს. ყველა ეს სცენარი იდეალურ-ჰიპოთეტურია. ვფიქრობ, თანამედროვე საქართველოს მაგალითი მათ სიმბიოზს აჩვენებს და, 30 წლიანი პოსტ-საბჭოთა პერიოდის მანძილზე, აღნიშნულ „იდეალურ ტიპთა“ მონაცვლეობის სურათს ქმნის.

თანამედროვე პოსტკომუნისტურ საზოგადოებებზე დაკვირვებით ბულგარელი მკვლევარი ემილია ზანკინა ასკვნის, რომ ელიტების განგრძობადობის გარკვეული ხარისხი ყველგან და ყოველთვისაა თვალში საცემი (Zankina 2010, 6). ნაირფერი კვლევების მიმოხილვით, ზანკინა აჩვენებს, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოსტკომუნისტური ტრანზიციისას, ელიტების ცირკულაცია მნიშვნელოვანწილად იყო დაწყვილებული მათი რეპროდუქციის ნაირფერ ფორმებთან. ძველი, კომუნისტური ნომენკლატურა ან ახალ (მაგალითად ეკონომიკაში) გავლენიან პოზიციებს იკავებდა, ან ამას თაობათაშორისი რეპროდუქციით, ანუ შვილების და შვილიშვილებისათვის გზის გაკვალვით ახერხებდა (Zankina 2010, 19-26). ზანკინას კონცეპტუალიზაცია პარეტოს დებულებებს ეყრდნობა. თუმცა ამ პროცესთა ფსიქო-კულტურული ასპექტების შესწავლისათვის გასათვალისწინებელია მოსკას შეგონებაც, რომ ელიტის განახლებისას ძველი და ახალი ნაკადების პროპორცია შეიძლება იწვევდეს ან ახალთა ასიმილაციას, ან „არისტოკრატების პლებეიზირებას“ (Mosca 1939, 425).

ეს უკანასკნელი თეზისი პოსტკომუნისტურ ელიტათა ორი ნაკადის არა რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ შედარებას ითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ, პირდაპირი გაგებით, არც ერთი იყო არისტოკრატული, და არც მეორე პლებეური. შედარებითი მეთოდის ვალიდურობა ამით არ იცვლება. რაც შეეხება ზანკინას მიდგომას, მისი გამოყენება ქართული მაგალითის ანალიზისათვის ცირკულაცია-რეპროდუქციის რაოდენობრივი პარამეტრების გამოვლენის გარეშე ნაკლები იქნებოდა. ეს მომავალი კვლევების საქმეა – შემდეგ პარაგრაფში მხოლოდ ცალკეულ შტრიხებშია მოცემული, თუ როგორ განლაგდნენ ყოფილი კომუნისტები და ანტიკომუნისტები ქართული მმართველობის ველზე. ამ ეტაპზე სტატიის მიზანი უფრო ისაა, რომ ქართული ელიტის პოსტსაბჭოური განახლების რიგი სტრუქტურული, სტილისტური, იდეაციური მახასიათებლები გამოვლინდეს, რაც ბილიკზე დამოკიდებულების ჰიპოთეზის რელევანტურობას დაგვანახებს. საბოლოო ჯამში ხომ მმართველთა არა იმდენად კონკრეტული სახელები და გვარები, არამედ მათი იდეები და პრაქტიკები მთავარი. საამისოდ, სტატიის ამ ნაწილის დასასრულს, ისევ ფილდის, ჰიგლის და ბარტონის კონცეფციას მინდა დავუბრუნდე (Field et al. 1990).

როგორც შესავალში ითქვა, ელიტების მათეული დაყოფა იდეოლოგიურ, თანხმობით უნიფიცირებულ და დაშლილ ტიპებად, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ამხსნელი

ძალის მატარებელია. ელიტის იდეოლოგიური ერთიანობა ხშირად მოჩვენებითია და იგი დაშლილ-დანაწევრებულ, დაპირისპირებულ ფრაქციებში გარდაისახება, რომელთა ურთიერთმტრობა ინსტიტუტებზე და ღირებულებებზე უთანხმოებას ეფუძნება. ვფიქრობ, თანამედროვე საქართველოში შექმნილი ვითარება ესადაგება ამგვარ სქემას, თუმცა რჩება კითხვა, რამდენადაა ეს თავსებადი ელიტის ცირკულაცია-რეპროდუქციის კონცეფციასთან. პასუხი ისევ ელიტების თეორეტიკოსთა უმრავლესობის რწმენაშია, რომ პოლიტიკური ელიტა არასოდესაა ერთიანი, მაფიური სულისკვეთებით შეკრული. ან, თუ მაფიის ანალოგს მოვიყვანთ – იგი ყოველთვის დაპირისპირებული „ოჯახებისაგან“ შედგება, რომელთა შორის ომიც ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა მაფიის და ომის მეტაფორები უფრო „დაშლილი“ ელიტის ტიპს მიესადაგება: კონსენსუსით უნიფიცირებული ელიტის ფრაქციები თანაარსებობის და კონკურენციის უფრო ცივილიზებულ ფორმებს პოულობენ.

თანამედროვე რუსი პოლიტიკის მეცნიერი, სერგეი მედვედევი მიიჩნევს, რომ პუტინის რუსეთმა დღეისათვის ერთგვარი ციკლი დაასრულა და საბჭოთა იდეოლოგიური ელიტიდან პუტინის იდეოლოგიურ ელიტამდე მივიდა. ბილიკზე დამოკიდებულების რუსული ვერსიის ანალიზისას იგი ჰობსიანური ლევიათანის ხატებას მოუხმობს. მედვედევი ბევრ სოვეტოლოგთა კვალობაზე ამტკიცებს, რომ აბსოლუტისტური და ყოვლისშემძლე სახელმწიფოს (შესაბამისად, შეძლებისდაგვარად ცენტრალიზებული ელიტის დ.დ.) რუსულ-საბჭოური მოდელი პუტინმა აღადგინა (Медведев 2017, 6). შეიძლება ვეკამათოთ მედვედევს, თუ რამდენადაა პუტინის ელიტა და სახელმწიფო კომუნისტური ვარიანტის ანალოგიური, მით უმეტეს, რომ სიტუაცია დინამიურია. მაგრამ პარალელები თუ არა, ბილიკზე დამოკიდებულება, ვფიქრობ, უდავოა. ქართული ვერსია, ამ მხრივ, სპეციფიკურ სურათს იძლევა. აქ უფრო „დაშლილი“ ელიტას ვხედავთ, რომლის ფესვებშიც საბჭოური დროის კლანურობა და საბჭოთა რეზიდუების თუ დოქტრინების ქსენოფობიური ბუნებაა. ამ ბუნების მანიფესტაციები შეიცვალა – წითელი დროშა, ნამგალი და ურო რასაც განასახიერებდნენ სიმბოლურ დონეზე, ის მარგინალურია. მაგრამ მსგავსებაა არსში.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სისტემის საბჭოთა ბილიკზე დამოკიდებულება რიგი პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული სტრუქტურებითაა ნაკარნახევი. თუ მედვედევის სტილს ვისესხებთ და ჩვენი რეალობის აღსაწერად ჰობსის მეტაფორებს გამოვიყენებთ, ძლიერ სახელმწიფოს ვერ დავინახავთ, მაგრამ შეიძლება ავირჩიოთ მეტაფორა „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“ (Hobbes 1651, 79). ეს მეტაფორაც საბჭოურ ბილიკებზე გვაბრუნებს, სადაც ღია თუ ფარული დაპირისპირებები მუდმივად კულტივირდებოდა: კონფლიქტზე, „ხალხის მტრების“ გამოვლენაზე მდგარ სისტემას სხვაგვარად არც შეეძლო. არსებითად, დიდი იყო შანსი, რომ საბჭოური იდეოლოგიურად გაერთიანებული ელიტის მემკვიდრეობაზე ან ახალი ერთიანობა წარმოშობილიყო, ან დაშლა-დაპირისპირებები. მედვედევი თვლის, რომ პუტინმა პირველი სცენარის განხორციელება მოახერხა. მე ვფიქრობ, საქართველო უფრო მეორე გზას ადგას, თუმცა კი პუტინისეული მოდელის განხორციელების დაუსრულებელი მცდელობების ფონზე.

საბჭოთა წარსულის „უნებლიე“ რეკონსტრუქციები პოსტ-საბჭოთა საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ თემა საქართველოს მაგალითს ეხება და, როგორც ზემოთ ითქვა, რუსული გამოცდილება მნიშვნელოვანწილად სხვაა, თანამედროვე რუსეთის სა-

ზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურებისა და კულტურის რიგი თავისებურებების ანალიზი მაინც აქტუალურია. ეს გვეხმარება ბილიკზე დამოკიდებულების ჩვენეული მოდელის გაგებაში, რადგან, სხვა თუ არაფერი, საქართველო ძალიან დიდი ხნის მანძილზე იყო რუსეთის პროვინცია. თან, ვფიქრობ, სხვაობა, ძირითადად მასშტაბებში და პუტინის პოლიტიკის უფრო შორსწასულ ავტორიტარიზმშია, ვიდრე ღრმა კულტურასა თუ სტრუქტურაში. არსებითად, რუსულ-ქართული გამოცდილებების და პრაქტიკების დაცილება უფრო რაოდენობრივი და გარეგნულია, ვიდრე თვისებრივი. თუმცა, არც ისაა ანგარიშიდან გამოსარიცხი, რომ საბჭოთა ეპოქაშიც ქართული სოციალური გამოკვეთილ ნაციონალურ სპეციფიკას ავლენდა.

შესაბამისად, მინდა დავიწყო უკვე ნახსენები თანამედროვე რუსი სოციოლოგებისა და პოლიტიკის მეცნიერების ზოგიერთი დაკვირვებით, რომელთა ექსტრაპოლაცია საქართველოზე შეიძლება. ეყრდნობა რა ლევადა ცენტრის კვლევებს (რომელიც რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტრომ 2016 წელს „უცხოეთის აგენტად“ გამოაცხადა), მიხილ მასლოვსკი წერს, რომ „პუტინიზმი“ არის „ტოტალიტარული რეჟიმის ძალადობის სტრუქტურების კუთვნილი ინსტიტუციური რესურსებისა და ძალის დეცენტრალიზებული გამოყენების სისტემა“; ძალადობის ეს სტრუქტურები „...პრივატიზებულია პირადი თუ ჯგუფური ინტერესების მქონე მმართველთა მიერ“ (Maslovski 2015, 52). იული ნისნევიჩი და ანდრეი რიაბოვი თვლიან, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცის მმართველი კლასის ფორმირებაზე, მათ იდეებზე, ღირებულებებზე, ქცევის წესებზე საბჭოთა ნომენკლატურამ კრიტიკული გავლენა მოახდინა (Nisnevich and Ryabov 2017, 86). მათი თქმით, ახალ პოლიტიკურ გარემოში საბჭოთა მართვის კულტურისა და პოლიტიკის ფილოსოფიის რეპროდუქცია ხდება. ავტორები გამორიცხავენ ბალტიის ქვეყნებს, ხოლო დანარჩენ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან მიმართებით თვლიან, რომ „ძალაუფლების ხისტი ვერტიკალები ...სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი პოლიტიკური და სამოქალაქო ძალების დასუსტების სურვილი ...პატრონაჟული (პატრიმონიალური) სახელმწიფო პოსტ-საბჭოთა მემკვიდრეობის მთავარი ელემენტებია (Nisnevich and Ryabov 2017, 86).

ფეისბუქის ერთ-ერთ პოსტში უკვე ნახსენები სერგეი მედვედევი იყენებს როლანდ ბარტის განმარტებას ფაშიზმის ენის შესახებ და თანამედროვე რუსეთში მისი გავრცელების დიდ მასშტაბს ხედავს. მედვედევის თქმით, ფაშიზმის არსი აკრძალვებში კი არა, იძულებაშია, მათ შორის „იძულებაში, რომ გარკვეული რამ თქვა ...ჩვენს თვალწინ, ბოლო 6-7 წლის მანძილზე ...ჩამოყალიბდა ფორმით კვაზისაბჭოთაური და შინაარსით ფაშისტური კოლექტიური სხეული, რომელიც ახორციელებს ცენზურას, გმობს, ითხოვს დასჯას და – რაც მთავარია – გვაიძულებს ვილაპარაკოთ“. პოსტის ავტორის აზრით, პრობლემა არა იმდენად ბოტების ფაბრიკები და ფასიანი ბლოგერებია, რომლებიც თავს ესხმიან განსხვავებული აზრის მატარებლებს. მთავარია საზოგადოების ის „კოლექტიური სხეული“ (ინსტიტუციონალიზებული ვეტერანებში, მორწმუნეებში, კაზაკებში, ოფიცრებში, დედებში), რომელიც მზადაა მოკლას სიტყვებისათვის, „რათა თავისი ორგანული ერთობის კვლავ წარმოება განახორციელოს. . . კოლექტიური მეტყველებისაკენ ამ ფაშისტურ იძულებაშია (რუსეთში გავრცელებული დ.დ.) ენის სიღრმისეული კლოაკურობა.“⁷

7 სერგეი მედვედევის 2019 წლის 31 ოქტომბრის პოსტი შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://www.facebook.com/sergei.medvedev3/posts/10220713078965166> (31.10.2019).

ეს პოსტი (ისევე როგორც ყველა ფეისბუქ პოსტი), კონკრეტულ ამბავზე თუ ემოციაზე მყისიერი ტექსტური რეფლექსიაა. მაგრამ ამ ამბის დეტალიზაცია არაა მთავარი: ვფიქრობ, ზემოთმოხმობილი აკადემიური ციტირებების მსგავსად, ეს რეფლექსია საინტერესოა რუსული საზოგადოებრივი კლიმატის გასაგებად, და იმავდროულად, ქართული პარალელების დასანახად. არსებითად, მედვედევის მიერ დანახული კულტურულ-ენობრივი გარემო კორელაციაშია მასლოვსკისა და სხვების სტრუქტურულ ანალიზთან და წყალს ბილიკზე დამოკიდებულების, ისევე როგორც ზოგადად, ისტორიული ინსტიტუციონალიზმის წისქვილზე ასხამს. ქართულ-რუსული პარალელების აქტუალიზაციისათვის საინტერესოა, რომ იმ დროს, როდესაც მედვედევის პოსტი ვირტუალურ სივრცეში ირჩეოდა, თბილისში, 1 ნოემბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საჯარო სივრცეში სიძულვილის ენაზე კონფერენციას მართავდა. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები სწორედ სიძულვილის ენის ინტენსიური ტირაჟირებით ხასიათდებოდა. იმისათვის, რომ თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში ძალადობის ხელშემწყობ დისკურსულ თუ სტრუქტურულ თავისებურებებზე ისტორიული ინსტიტუციონალიზმის კონტექსტში ვისაუბროთ, უშუალოდ ქართული თემატიკის ამსახველი ზოგიერთი კვლევაა სახსენებელი.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიასა და საზოგადოებრივ დისკურსში საბჭოთა მემკვიდრეობის განგრძობადობა ფუნდამენტული თემაა. ოღონდ იგი ნაკლებად ეყრდნობა სოციალური მეცნიერების თეორიებს თუ მოდელებს. როგორც წესი, საუბარი ან მხოლოდ გეოპოლიტიკაზეა, რომელიც, საქართველოს გადმოსახედიდან, საბჭოთა დროს მოხაზული საზღვრების პრობლემურობაში და კონფლიქტურ ეთნო-ადმინისტრაციულ მოწყობაში გამოიხატება. ტრადიციული რაკურსით, ქართველი საბჭოთა იმპერიის მსხვერპლი ერია. ის, რომ ამ ძალადობრივი სისტემის მშენებლობაში, სტალინის ჩათვლით, ბევრი ქართველი მონაწილეობდა, რენეგატობით აიხსნება. იგივე დამოკიდებულებაა 1801 წლიდან რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარი ქართული თავადაზნაურობის დიდი ნაწილის მიმართ. რა თქმა უნდა, ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში კარგადაა შესწავლილი, რომ პეტერბურგისა და მოსკოვის პოლიტიკურმა ელიტამ ჯერ უკანონოდ გააუქმა ქართული სამეფო-სამთავროები, მერე კი ძალით გაასაბჭოვა იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული საქართველის 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკა. შედეგად, მოძალადესთან თანამშრომლობა მორალურ გმობას, ერის სხეულისაგან განკვეთას იწვევს. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება, მინიმუმ, ცალმხრივია და ნაკლებად შეეფერება ისტორიული ინსტიტუციონალიზმის მიდგომებს.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია რამდენიმე დასავლელი მკვლევარი, რომელთაც, თანამედროვე აკადემიურ კონცეფციებზე დაყრდნობით, საქართველოში საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პერიოდების გაანალიზება უცდიათ. ჯონატან ეივზის, სტივენ ჯონსის, უკვე ნახსენები რონალდ სუნის, ბრუნო კოპიტერსის, ტომ დე ვაალის თუ სხვათა ნაშრომებში საქართველოს საბჭოთა ბილიკზე დამოკიდებულების ჰიპოთეზის გამამყარებელი არაერთი მოსაზრებისა თუ ფაქტის ამოკითხვა შეიძლება. მაგრამ სოციალურ მეცნიერებათა ეს თანამედროვე წარმომადგენლები უფრო კონკრეტულ პერიოდებსა და მოვლენებს აანალიზებენ, ვიდრე მათ დიაქრონულ კავშირს. მათი კვლევის მიზნები არ ყოფილა პოსტ-საბჭოთა ელიტის უშუალო წინამორბედთან დამაკავშირებელი კონკრეტული მექანიზმებისა თუ ღირებულებების გამოკვლევა. ამ მხრივ გამორჩეულია ქართველი პოლიტიკის მეცნი-

ერის გია ნოდისა და ტეოდორ ჰანფის 2000 წელს გამოცემული ერთობლივი კვლევა. მასში ვხედავთ როგორც საბჭოთა საქართველოს ელიტის ზოგადსოციოლოგიურ დახასიათებას, ისე პოსტ-საბჭოთა მმართველი კლასის ცირკულაცია/რეპროდუქციის სურათს (Hanf and Nodia 2000). მაგრამ ეს ანალიზი, რომელსაც კიდევ დავუბრუნდებით, მეტად ზოგადია – მკვლევრების უპირველესი ამოცანა არა ელიტის, არამედ ქართული საზოგადოების ლირებულებათა სისტემის რაოდენობრივი კვლევა იყო.

კვლევები ნათლად აჩვენებს, რომ თანამედროვე ქართული სახელმწიფო და საზოგადოება დაძაბულობისა და მრავალფეროვანი კონფლიქტების მდგომარეობაში იმყოფება. უსაფრთხოება, ეკონომიკური სიღუბლიერე, უმუშევრობა ადამიანთა მთავარი საზრუნავი. დემოკრატიული ინსტიტუტები სუსტია და მათი, ისევე როგორც პოლიტიკური კლასის რეიტინგი – დაბალი. ძალადობა, მანიქეველური დამოკიდებულებები გამოარჩევს პოლიტიკურ პროცესს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შეიძლება როგორც უფრო ღრმა, ცარისტულ-ფეოდალური ტრადიციებით აიხსნას, ისე უშუალოდ თანამედროვე გამოწვევებით, რომლიდანაც ზოგიერთი გარდაუვალად ობიექტური – გეოპოლიტიკური თუ გეოეკონომიკურია. შესაძლებელია, უბრალოდ, ვითარების აღწერა და არა მიზეზების ძიება. მაგრამ, როგორც არაერთხელ ითქვა, წინამდებარე სტატიის სპეციფიკა იმაშია, რომ პრობლემათა ფესვებზე მსჯელობისას აქცენტი საბჭოთა სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ გამოცდილებაზე გადაიტანოს. რა თქმა უნდა, ფეოდალიზმის ტრადიცია დღესაც ავლენს კვალს: კლანურობაც და ნეპოტიზმიც საუკუნოვანი სიღრმეებიდან მოდის. არანაკლებ მნიშვნელოვანია გლობალური მასშტაბის თანამედროვე ლირებულებითი, ეკონომიკური თუ სხვა სახის დაპირისპირებები, რომლებიც პატარა საქართველოზე გარდაუვალად აისახება. ისევე როგორც წარსულში, ქვეყანა რჩება ცივილიზაციურ გზაჯვარედინად. მაგრამ ფეოდალიზმმა ჩვენამდე დიდი კომუნისტური ინჟინერიის გავლით მოაღწია, თანამედროვე ობიექტურ გამოწვევებს კი სუბიექტური კოლექტიური ნება/უნებელობა ხვდება, რომლის გენერირების დროსაც წინა, განსაკუთრებით, უახლესი თაობების გამოცდილება არსებითი ცვლადია.

სწორედ ამიტომაც აქტუალური ქართული ისტორიული რეალობის ხელახალი პერიოდიზაცია – მისი აღქმა ისტორიული ინსტიტუციონალიზმის და ელიტათა თეორიის ფარგლებში. ამ თეორიული პერსპექტივიდან კი ისე მოსჩანს, რომ მიუხედავად მეოცე საუკუნის 90-იანი წლების წყალგამყოფი ხასიათისა, რაც, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებლობის ოფიციალური აღდგენით გამოიხატება, საქართველოს ისტორიის ბოლო 100 წელი ერთიან ნიშანთა მატარებელი პერიოდი. კომუნისტური რევოლუციის ექსპერიმენტი დასრულდა და ქვეყანა დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის, ლიბერალური ლირებულებების გზას დაუბრუნდა. მაგრამ, როგორც რუსული, ისე ქართული საზოგადოება ვერ ასცდა წარსულის ბილიკთა სისტემის მიზიდულობის ძალას. შესაბამისად, ფიგურალურად რომ ვთქვათ, შარაგზაზე გასული ჩვენი პოლიტიკური მანქანა მუდმივად ირყევა და გზისპირა თხრილებში ვარდება. პრობლემურია ამ მანქანის საწვავიც და მძღოლიც.

სოციალური კაპიტალის რობერტ პატნემისეული ხედვა (Putnam 1993), რის საფუძველზეც იგი ჩრდილოეთ და სამხრეთ იტალიის საუკუნოვანი განვითარების განსხვავებულ ტრაექტორიას ხსნიდა, ძლიერი არგუმენტია ბევრად დიდი ისტორიული პერიოდების მოსანიშნად, ვიდრე საბჭოთა ბილიკზე დამოკიდებულება შეიძლება იყოს. იგი ისევე ფეოდალური სიღრმეების ანალიზისაკენ გვიბიძგებს და იმ სოვეტოლოგების წისქვილზე ასხამს

წყალს, ვინც საბჭოთა ტოტალიტარიზმში მოსკოვის სამთავროს დესპოტიის გაგრძელებას ხედავს. უდავოდ, ქართულ ფეოდალიზმშიც და XIX საუკუნის ტრანსფორმაციებშიც ბევრი რამაა დღევანდლობის ასახსნელად საყურადღებო. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ეს არ ამცირებს საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა თაობების პოლიტიკურ-კულტურული ბმის ძალას დღევანდლობის ახსნაში. ვფიქრობ, ეს ძალა უპირატესია, რადგან თუნდაც 1918-1921 წლებში, ქვეყანა დემოკრატიული განვითარების ისეთ ტენდენციას ადგა, რომლისკენაც დაბრუნება დღეს ჭირს. პრემოდერნული ეპოქებიდან ნაანდერძევი ქართული კლანურობა უკვალოდ არ გაქრებოდა, მაგრამ რომ არა გასაბჭოებას მოყოლებული უპრეცედენტო სოციალური ექსპერიმენტები, დღევანდელი ქართული საზოგადოება ცალსახად განსხვავებული იქნებოდა. ცდას ვერ დავაყენებთ, მაგრამ ვინძლო ისევე ამოვარდნილიყო საქართველო პოსტ-საბჭოთა სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული „კალათიდან“; როგორც, ზემოთნახსენები ნისნევიჩის და რიაზოვის ანალიზით, ბალტიისპირეთია ამოვარდნილი.

რონალდ სუნის აზრით, თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის⁸ ფორმირებას სწორედ საბჭოთა ტრანსფორმაციამ შეუწყო „პარადოქსულად“ ხელი (Sunny 1994, XV). უპირველეს ყოვლისა, სუნი ეყრდნობა ჩენი ისტორიკოსის, მიროსლავ ჰროჩის პარადიგმას, რომლის თანახმად ნაციონალიზმის გამარჯვება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც პატრიოტული ინტელიგენციის მიერ კონსტრუირებული ეროვნული მიკუთვნებულობის იდეა ფართო მასების პოლიტიკურ მობილიზაციას იწვევს. სუნი მიიჩნევს, რომ ამის ნიშნები საქართველოში მე-20 საუკუნის დამდეგისას გამოიკვეთა (ibid., 123). მაგრამ მისთვის, ისევე როგორც ნაციონალიზმის თანამედროვე თეორეტიკოსთა უმრავლესობისათვის, პროცესის დასრულებას საზოგადოებათა ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია სჭირდება. ეს სოციალურ-ტექნოლოგიური პროცესები კავშირშია მასობრივ განათლებასთან, სტანდარტიზებული ინფორმაციის ტოტალურ პენეტრაციასთან, რის გარეშედაც ეროვნული, ანუ „წარმოსახვითი“ ერთობა მასობრივად გაზიარებულ უნიფიცირებულ ფორმულებად ვერ ჩამოყალიბდება.

საქართველოში ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაციას დაემთხვა. რონალდ სუნი გვთავაზობს თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის საბჭოური სტრუქტურის კონსოლიდირებულ სურათს: 1926 წლიდან 1959 წლამდე სოფლის მოსახლეობის წილი 78 პროცენტიდან 58 პროცენტამდე შემცირდა; მუშების და მოსამსახურეების რაოდენობა გასამმაგდა; მოხდა ეროვნული კულტურის ინსტიტუციონალიზაცია ფოლკლორულ ანსამბლებში, ქართულენოვან კინემატოგრაფში და ოფიციალურად სანქცირებულ ლიტერატურაში (ibid., 280-281). იდეაციურ დონეზე, კომუნისტური კლიშეების მიღმა, თანდათან იკვეთებოდა რეჟიმის და შემოქმედებითი თუ სამეცნიერო ინტელიგენციის დიდი ნაწილის ფაქტობრივი გარიგება: „რთული კომპრომისი ურთიერთსაჭიროების საფუძველს ეყრდნობოდა. ინტელიგენციამ მოიპოვა შედარებითი უსაფრთხოება და მატერიალური სარგებელი, სახელმწიფომ – მათი ხმა. საბჭოთა ხელისუფლება არ იძლეოდა ქართული ნაციონალიზმის მისწრაფებების სრულად გამოხატვის უფლებას, მაგრამ ინტელიგენციამ ხელოვნებისა და ენის პატრონაჟი მიიღო“ (ibid., 282).

არსებითად, კომუნისტური საქართველოს არც თუ შეფარულ ნაციონალისტურ ხა-

8 ეს ტერმინი ბევრნაირად გაიგება და გამოიყენება. აქ და შემდეგშიც, ვგულისხმობ სხვა სოციალურ იდენტობებზე ეროვნული იდენტობის პრიმატის რწმენას და ეროვნული ნიშნით პოლიტიკური დამოუკიდებლობის საჭიროების მასობრივ გაზიარებას.

სიათზე მსჯელობს სტივენ ჯონსი (ჯონსი 2013). პარადოქსია, მაგრამ სწორედ ამ დროს იძენდა დომინანტ მდგომარეობას ერის ეთნიკური, წარმომავლობასა თუ სისხლით ნათესაობაზე დაფუძნებული გაგება, რაც, მოგვიანებით, ქართული ანტიკომუნიზმის ფუნდამენტად გადაიქცა: პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ოფიციალური იდეოლოგიის ქვეშ კომუნისტურმა რეჟიმმა თავისი ეთნონაციონალისტი მესაფლავეები მოამზადა.

რა თქმა უნდა, სტალინიზმი, პირველ რიგში, ასოცირდება ძალადობრივ კოლექტივიზაციასა და 30-იანი წლების ტერორთან, რომელსაც, კომუნისტური ელიტის ნაწილთან ერთად, სწორედ ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი შეეწირა. უშუალოდ სტალინი იყო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის განადგურების ინიციატორთა შორისაც, რადგან მაშინ მას ასე აწყობდა. აგრეთვე, შეიძლება დავა სუნისთან ქართული ნაციონალიზმისა და საქართველოში თანამედროვე ნაციის ფორმირების ვადებთან თუ მიზეზებთან დაკავშირებით. მაგრამ კომუნისტური რეჟიმისა და ეთნონაციონალიზმის მქადაგებელი ინტელიგენციის მრავალწლოვანი „ანგარებითი ქორწინება“ დოკუმენტურადაა დადასტურებადი. ჯერაც ცოცხალ მოწმობამოგონებებზე დაყრდნობით, საბჭოთა საქართველოს მმართველ კლასზე საუბრისას, თეოდორ ჰანფი და გია ნოდია აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში თანდათან ყალიბდებოდა იდეოლოგიური ელიტის ერთგვარი კონტინიუმი – ნომენკლატურული ინტელიგენციიდან დისიდენტებამდე – ლიბერალური ინტელიგენციის გავლით (Hanf and Nodia 2000, 49). მიზეზი ერთი იყო – ორთოდოქსული კომუნიზმის გარდაუვალი დეველვაციის კვალობაზე, რეჟიმს მზარდად სჭირდებოდა საზოგადოებაში ავტორიტეტის მქონე მეცნიერთა და ხელოვანთა ხმა. ასეთ პირობებში, თუ მავანი ნიჭიერი ანტიკომუნისტი ინტელიგენტი თავისთავად მზარდი ელასტიურობის მქონე „წითელ ხაზებს“ არ გადავიდოდა, ღია თუ ფარულ მფარველებსაც შეიძენდა. თუმცა, მსგავს განვითარებას სტალინური სუსხის შემდგომი დათბობა დასჭირდა.

„ანტისაბჭოთა ელემენტების“ დევნა არასოდეს შემწყდარა. ჰანფი-ნოდიასეული „კონტინიუმიც“ არანაირად არ მიუთითებს რეჟიმის ფუნდამენტურ ტრანსფორმაციაზე მისი გვიანდელი მმართველების დროს. პოლიტიკური ლიბერალიზაციის თუ ეროვნული დამოუკიდებლობის ნებისმიერ მოთხოვნას ქართული საბჭოთა მმართველობა მას მერეც არ სწყალობდა, რაც წითელი იმპერიის ცენტრში გორბაჩოვის „პერესტროიკა“ დაიწყო. მაგრამ აღნიშნული სისტემური კავშირები თუ არ მყარდებოდა, არც ქრებოდა, რისი ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაც ეთნონაციონალისტური იმპულსებისათვის ოფიციალური სულ ფერო მეტი გახსნილობა იყო.⁹

მაგრამ ნაციონალიზმი თუ მისი ეთნონაციონალისტური ვარიანტი ძალიან ზოგადი ფაქტორია საიმისოდ, რომ მხოლოდ კომუნისტურ წარსულს დავაბრალოთ და საბჭოურ ბილიკზე საქართველოს დამოკიდებულების ძირითად არგუმენტად ვაქციოთ: მისი ფესვები საბჭოთა წყობილებაზე ღრმია. სტალინიდან მოყოლებული, ხელისუფლებამ მისი პრაგმატული გამოყენება გადაწყვიტა, თუმცა კი ამ იდეოლოგიის მასობრივ გავრცელებას ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციით შეუწყო ხელი. ნაციონალიზმი, როგორც გლობალიზირებული ევროპული მოვლენა, ამა თუ იმ ფორმით მაინც გაიკვალავდა საქართველოს

9 ოფიციალურ ნაციონალიზმზე საბჭოთა საქართველოში, რომელიც დისიდენტურთან პარალელურად არსებობდა, საინტერესოა ირაკლი ჩხაიძის სადოქტორო დისერტაცია „ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში“, თსუ 2016.

მოქალაქეთა გულებისაკენ გზას – შეფუთავდნენ მას ორიგინალურად კომუნისტური დოქტრინების საბურველში თუ არა. მაგრამ ეთნონაციონალიზმის ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტების ფორმები კი ნამდვილად სხვაგვარი იქნებოდა.

დღეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა აფხაზეთის საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სამხედრო, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა მთლიანად რუსეთის პასუხისმგებლობაა, აფხაზური კონფლიქტის ფესვები ორი საბჭოთა ფუნქციონერის დაპირისპირებაშია. დავა იმაზე, ლავრენტი ბერიას და ნესტორ ლაკობას კონფლიქტი ქართულ-აფხაზური გაუცხოვების მიზეზია თუ შედეგი, ქათმისა და კვერცხის პირველობაზე კამათს შეიძლება დაემსგავსოს. უფრო აკადემიურად რომ ვთქვათ, სტრუქტურა და აგენტი ერთმანეთის გარეშე ვერ გაანალიზდება. ამ ორ მეტოქეს სჭირდებოდა კონტექსტი, რასაც, ქართულის პარალელურად, აფხაზური ნაციონალიზმის ფორმირება ქმნიდა. კონტექსტი იყო მოსკოვის ინტერესიც, წაეხალისებინა ადგილობრივი დაპირისპირებები. მაგრამ დღევანდელი პრობლემის სიმწვავისათვის არსებითია ის ფაქტი, რომ სტალინისათვის ბერია უფრო მისაღები აღმოჩნდა, ლაკობა კი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. მოგვიანებით, აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერის ოჯახი სტალინური რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ის ფაქტი, რომ სტალინურ რეპრესიებს ათასობით ქართველი ბოლშევიკი და არაბოლშევიკიც ემსხვერპლა, თანამედროვე აფხაზებისათვის ბევრს არაფერს ცვლის. ვფიქრობ ლოგიკურია ტომ დე ვაალის დასკვნა, რომ თანამედროვე ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში ლაკობას ბედმა დიდი როლი ითამაშა (De Waal 2017).

როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში არსებული გამოწვევები, პირველ რიგში, თანამედროვეა – ისინი აქ და ამ წუთას ხდება. ეს გაცილებით რეალური და მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ პრობლემათიკის ფესვები, რომლებზეც დავა დაუსრულებლად შეიძლება. თანამედროვე პრობლემათიკა განაპირობებს პოლიტიკოსთა ქცევას. მაგრამ მოქმედებები წარმოუდგენელია აღქმების, ღირებულებების, გამოცდილების გარეშე. გამოცდილება კოლექტიურია, თაობებზე გადადის და ესაა ისტორიული ინსტიტუციონალიზმის ვალიდურობის საფუძველი. საქართველოს პოლიტიკური სისტემისა და კლასის საბჭოთა ბილიკზე დამოკიდებულების სტრუქტურის დასახასიათებლად, შეიძლება მისი სამი ასპექტი გამოიყოს. პირველია *მანიქველური დისკურსი*, რომელშიც პარეტოს უნივერსალური რეზიდუები და დერივაციები სპეციფიური სახით აირეკლება. ისინი ხელს უწყობს ძალაუფლებისათვის დღეს მიმდინარე, ძალადობასთან წილნაყარ ბრძოლას. მტრობისა და უნდობლობის გამავრცელებელი ეს დისკურსი ცოცხლობს როგორც ელიტის განცხადებებში, ისე ფართო საზოგადოებრივ დამოკიდებულებებსა და შეფასებებში. ეს ფსიქო-იდეოლოგიური კლიმატი ერთვის და აღვივებს რეპრესიებს. კომუნისტური იდეოლოგია და იმიჯები მარგინალურია, მაგრამ სტილი გავლენას ინარჩუნებს.

მეორე ასპექტი *კოლექტიური მესხიერებაა*. იგი წარსული ბრძოლების და დანაშაულებების განგრძობად და გაზიარებულ ინტერპრეტაციებს გულისხმობს – წარსულის ფაქტები მხოლოდ შეფასებების, ინტერპრეტაციების გზით აღწევს საზოგადოებრივ ცნობიერებაში. აფხაზთა რწმენა, რომ ლაკობას ოჯახის ტრაგიკული ბედი აფხაზური ეთნიკური ნაციის წინააღმდეგ ჩადენილი სასიკვდილო დანაშაულია, ნათქვამის მაგალითს წარმოადგენს. ასეთ მესხიერებებში კრიტიკული გადაფასების ადგილი მეტად მცირეა. ძალადობრივი გასაბჭოება და სტალინური მასობრივი რეპრესიები, რაც საერთოეოროვნული მესხიერებისა

და დისკურსის ნაწილია, საბჭოთა ეპოქაშივე გახდა საზოგადოების სტრატეგიკაციის საფუძველი. მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის დრამა პოსტ-საბჭოთა დროებაში მტრული სოციალურ-პოლიტიკური ბანაკების ფორმირების საფუძველიც არის. ქართული პოლიტიკური ბატალიების განმსაზღვრელი არა პარტიათა პროგრამული განსხვავებებია, არამედ მათი წარმომადგენლების მიმართება საბჭოთა წარსულთან. რა თქმა უნდა, საჯარო დონეზე მას თითქმის ყველა გმობს – როგორც ითქვა, კომუნიზმის პირდაპირი მხარდაჭერა მარგინალურია. მაგრამ თანამედროვე ქართული პოლიტიკური ელიტის შიდა წყალგამყოფი მნიშვნელოვანწილად იმაზეა დაფუძნებული, თუ ვისი საახლოებლო იღებს სათავეებს კომუნისტური ნომენკლატურიდან და ვისი – ანტისაბჭოური წრეებიდან. რა თქმა უნდა, გამონაკლისები არის, მაგრამ ვფიქრობ, საერთო ქარგა თანამედროვე პოლიტიკურ ფრაქციებად დაყოფისა ასეთია. ოჯახური და სამეგობრო წრის ღირებულებები იდენტობის ფორმირების მძლავრი ფაქტორებია. ქართული თაობების ნარატივები კი სწორედ საბჭოური დიქტომიური საზოგადოებიდან მოდის.

ბილიკზე დამოკიდებულების მესამე ასპექტი, რაზეც ქვემოთ მინდა ყურადღების შეჩერება, **საბჭოთა მმართველობის სისტემის ელემენტებია**. ისინი მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რაც, სტატიის თეორიული ჩარჩოს კონტექსტში, არცაა გასაკვირი. პოსტ-საბჭოთა დემოკრატიზაციას ეს გარემოება არანაკლებ უშლის ხელს, ვიდრე ძველი წყენები თუ მანიქველური მსოფლალქმა. არსებითად, ეს ასპექტები ერთმანეთს აძლიერებს და საბჭოთა ბილიკის საერთო მახასიათებელს ქმნის. სიტყვის თავისუფლებამ, მრავალპარტიულმა არჩევნებმა ქართული პოლიტეა თვისობრივად გადაასხვავა. მაგრამ კანონთა დარღვევა თუ მეტად თავისუფალი ინტერპრეტაცია, გამჭვირვალობის ნაკლებობა, სახელმწიფო აპარატისა და მმართველი პარტიის შეზრდა ის მახასიათებლებია, რაც საქართველოს მეორე დამოუკიდებელ რესპუბლიკას საბჭოთა წინაპართან აახლოებს.

რაც შეეხება კომუნისტური ელიტის სისტემურ ტრანსფორმაციას და თანამედროვე მმართველ კლასსა თუ ეკონომიკურ სექტორში გავლენიანი პოზიციების დაკავებას, როგორც ვთქვი, ეს საკითხი დამატებით რაოდენობრივ კვლევებს ითხოვს. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოური ქართული პოლიტიკური ბანაკების ფორმირების დახასიათებისას, ნომენკლატურის მეორე სიცოცხლის ფენომენსაც შევხებით. მაგრამ ამ სტატიის მთავარი ბმა ელიტების თეორიასთან ფსიქო-კულტურული ხასიათისაა: იგი პარეტოს რეზიდუებისა და დერივაციების ინტერპრეტაციას წარმოადგენს. მართალია, პარეტოს უნივერსალიზმი (რომლის მიერ იდენტიფიცირებული მთავარი რეზიდუები, ანუ ფსიქოტიპები ინსპირაციულ-ინოვაციური და ჯგუფურობაზე ჩაქიდებულია) ბილიკზე დამოკიდებულების თეორიის შესაფერის სპეციფიკაციებს ითხოვს. მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ პარეტოს და მოსკას მოსაზრებებია ინსპირაციის წყარო, რომ ძველი კომუნისტებისათვის დამახასიათებელი უნარჩვევები ახალქართულ ანტიკომუნისტურ, დეკლარირებულად პროდასავლურ ლიდერებშიც დავინახოთ.

საბჭოთა მანიქველური დისკურსის ყველაზე თვალნათელი ილუსტრაცია „ხალხის მტრის“ იარლიყია. მისით მართლდებოდა რეპრესიები არა მხოლოდ ელიტის თვალში. არსებითად, მსგავსი იარლიყები პირდაპირი თუ სტრუქტურული ძალადობის ლეგიტიმაციის, ანუ იოჰან გალტუნგისეული კულტურული ძალადობის მანიფესტაცია იყო (Galtung 1990). როდესაც საბჭოთა კავშირმა დაშლა დაიწყო, ქართულმა პოლიტიკამ შვა „ერის მტრის/ერის მოლაღატის“ იარლიყი. რა თქმა უნდა, იგი არ უკავშირდებოდა მასობრივ დახვრე-

ტებს – სტალინური წმენდები არც პოსტ-სტალინური საბჭოთა მმართველობისთვის იყო დამახასიათებელი. თან, ახალი საქართველოსათვის მებრძოლი ყოფილი დისიდენტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ერთგულებას აცხადებდნენ. და მაინც, მტრობა კომუნისტური ნომენკლატურისა და კომპრომისების მაძიებელთა წინააღმდეგ ბოლშევიზმის დროინდელ მენტალურ სტრუქტურას იმეორებდა. გვიანსაბჭოთა ფილოსოფოსი, მერაბ მამარდაშვილი, მტრობის ახალი ატმოსფეროს პირველი მსხვერპლი გახდა: მიზეზთა გამო იგი ანტიკომუნისტური ეროვნული მოძრაობის ლიდერს, ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდა. ამ უკანასკნელის მომხრეებმა მამარდაშვილის წინააღმდეგ საზოგადოებრივი კამპანია გააჩაღეს. შეიძლება ითქვას, რომ 1990 წლის ნოემბერში 60 წლის ფილოსოფოსის ინფარქტით გარდაცვალებას ამ კამპანიამ შეუმზადა ფონი.

ზვიად გამსახურდია ცნობილი საბჭოთა დისიდენტი იყო. გასაკვირი არაა მისი მტრული დამოკიდებულება ნომენკლატურის მიმართ, ე.წ. „წითელი ინტელიგენციის“ ჩათვლით. 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარების მიერ მასობრივი დემონსტრაციის სასტიკი დარბევის შემდეგ, კომუნისტურმა მმართველობამ ლეგიტიმიზმის ბოლო ნიშნებიც დაკარგა, რამაც, ნელ-ნელა, გამსახურდიას ერის წინამძღოლის როლი შესძინა. სწორედ ზვიად გამსახურდიას ერგო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და მის პირველ პრეზიდენტად გახდომის ისტორიული ხვედრი. მაგრამ, ამავე დროს, იგი გახდა ასოცირებული „კუდიანებზე ნადირობის“ ახალ ციკლთან, რომელიც საბჭოთა პერიოდის ასოციაციებს აღძრავდა. ოღონდ ამჯერად, დევნილები „წითლები“ იყვნენ, მდევნელები კი „ეროვნულები“. რევოლუციური პროცესების ლოგიკით, მტრობამ თავად ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებიც მოიცვა. შედეგად, ჩამოყალიბდა ანტი-გამსახურდიასეული, საკმაოდ ეკლექტური ოპოზიციური ალიანსი, რომელმაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხელისუფლება წელიწადსა და ორ თვეში დაამხო.

გამსახურდიას მომხრეები დღემდე კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ამ დაპირისპირებაში სამოქალაქო ომის ნიშნების აღიარებას. მათთვის ყველა, ვინც მაშინ პრეზიდენტს დაუპირისპირდა, მოსკოვის ნეოკოლონიური ნების აღმსრულებელი და ეროვნულობას მოწყვეტილი იყო. იმპერიის ნგრევით უკმაყოფილო ცენტრის სიმპათია რომ ოპოზიციის მხარეს აღმოჩნდა და გამსახურდიას საბოლოო მარცხი რუსულმა იარაღმა განაპირობა, ეს მართლაც კარგადაა დოკუმენტირებული. მაგრამ რევოლუციური ხასიათის ტრანსფორმაციებისას ხელისუფალთა ოპონენტების უცხო ქვეყნის აგენტებად ხელალებით მონათვლა ძველი საბჭოურ-ბოლშევიკური მენტალური მემკვიდრეობის კიდევ ერთ გამოვლინებას წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, რევოლუციური ზელოტობა, ისევე როგორც ეს ტერმინი, ბოლშევიკებს არ გამოუგონიათ. პოსტმოდერნული ლოგიკით რომ ვთქვათ, ნებისმიერი ტექსტი მხოლოდ სხვა ტექსტზე მიუთითებს. ლენინსა და სტალინს ფრანგ იაკობინელთა მაგალითი ჰქონდათ. ზვიადის ქართველი მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც აშკარად იწყებდნენ პირველ კომუნისტებთან პარალელებს. მაგრამ მათი უმეტესობა ხომ საბჭოთა ატომიზირებული, გადარჩენაზე ორიენტირებული და ძალადობას მიჩვეული საზოგადოების ხორცი ხორცთაგანი იყო! შესაბამისად, კომუნისტურმა ელიტამ რაც დათესა, ის მოიმკო. ოღონდ, ტრანსფორმირებულმა და მოკავშირეებით ზურგგამაგრებულმა, ზვიადზე ტაქტიკური შურისძიება მოახერხა.

გამსახურდიას დამხობამ საქართველოს კომპარტიის ყოფილი პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლებაში მეორედ მოიყვანა. დროდადრო იგი ცდილობდა

დემოკრატიული და შემრიგებლური ყოფილიყო: ათავსებდა დასავლეთის ლიდერებთან მეგობრობასა და სტალინის მიმართ თბილ გრძობებს. საქართველოს მეორე პრეზიდენტის ღრმა მენტალური სტრუქტურა კარგად ჩანს შემდეგ ეპიზოდში: 1995 წელს მან პარასამხედრო ორგანიზაცია „მხედრონის“ წინააღმდეგ, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლას უმადლოდა, ანტიკრიმინალური ოპერაციები წამოიწყო. ამ, თავისთავად, ლეგიტიმური გადაწყვეტილების გასამართლებლად შევარდნაძემ რატომღაც სტალინი გაიხსენა, რომელსაც ნაციზმის დამარცხებაში მონაწილე კრიმინალური წარსულის მქონე ათასობით სამხედრო ყავდა დასჯილი.¹⁰ სხვათა შორის, შევარდნაძე გამსახურდიას „პროვინციული ფაშისმის“ გამოვლინებად მიიჩნევდა (გვახარია 2003).

2003 წლის ვარდების რევოლუციის წლის შიდაქართული პოლიტიკური კონფრონტაცია ახალი იარაღებით გამდიდრდა. სიტყვა „ჩარეცხილები“ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაამკვიდრა. მას კონკრეტული მიზეზი და ადრესატები ჰყავდა. მაგრამ ზოგადად, ეს ეპითეტი საბჭოთა/პოსტ-საბჭოთა ღირებულებათა სისტემის მიმდევართა მიმართ იყო ნაგულისხმები. სააკაშვილი თვლიდა, რომ ცხოვრების ტრადიციული სტილი კორუფციასთან, კლანურობასთან და კრიმინალურ სუბ-კულტურის გავლენებთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ეს მოდერნიზაციის დღის წესრიგთან შეუთავსებელი იყო. მაგრამ ის და მისი მომხრეები მიზანში არა მხოლოდ ამ სოციალურ წყლულებს, არამედ ნებისმიერ კრიტიკოსს იღებდნენ. უპირობო ჯგუფური სოლიდარობის, ოპონენტთა დეჰუმანიზაციის ძველი საბჭოთა ხაზი, რაც პარეტოს დერივაციისა და რეზიდუეს რადიკალურ მაგალითებს წარმოადგენდა, განახლებულ კონტურებს იძენდა.

არსებითად, სააკაშვილისეული რევოლუცია ეროვნული მოძრაობის კონტრ-რევანში იყო საბჭოთა ნომენკლატურის იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელმაც გამსახურდიას ხელისუფლება დაამხო. რა თქმა უნდა, არც შევარდნაძის მომხრეები იყვნენ სოციალურად ერთიანი და არც სააკაშვილის მიმდევრები ამოიწურებოდნენ გამსახურდიას თანამებრძოლებით – ქართული ელიტის ორივე ფრთა ცირკულაციისა და რეპროდუქციის უფრო კომპლექსურ სურათს ქმნიდა. მაგრამ ის, რომ ვარდების რევოლუციას ძველი ეროვნული მოძრაობის მრავალი წარმომადგენელი მიემხრო, პარლამენტში გამსახურდიას დაღუპვის საეჭვო გარემოებათა კომისია შეიქმნა, თბილისში დაარსდა ოკუპაციის მუზეუმი, ხოლო გორში სტალინის ძეგლი აიღეს, მრავლისმეტყველია. კომუნისტური რეპრესიების ამსახველი კოლექტიური მეხსიერების ინსტიტუციონალიზაცია გამსახურდიამ ვერ მოასწრო. სააკაშვილის 9 წლიანი მმართველობა ამ მხრივ უფრო წარმატებული აღმოჩნდა. მისი მხარდამჭერი ერთ-ერთი დეპუტატის, შოთა მალაშხიას თაოსნობით გაკეთდა რუსული იმპერიისა და ბოლშევიკური რეჟიმის მამხილებელ ფილმთა სერიაც.

რიგი მიზეზების გამო, რომელთა გაშლასაც ცალკე სტატია დასჭირდებოდა, სააკაშვილის მმართველობასაც მისი მრავალფეროვანი ოპოზიციის გაერთიანება მოყვა. სოციალური შეფერილობის მიხედვით, მასში ერთმანეთის გვერდზე აღმოჩნდნენ როგორც კომუნისტური ნომენკლატურის, ისე დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ზოგჯერ, ეს უკანასკნელნი ძველი ნომენკლატურული ოჯახის წევრები იყვნენ. ამის მაგალითია პოსტ-საკაშვილისეული ხელისუფლების გავლენიანი მინისტრი, თეა წულუკიანი, რომლის მამა, ავთანდილ წულუკიანი, საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პე-

¹⁰ მიმომხილველი (1995) ელუარდ შევარდნაძე და სტალინის პროტოტიპი http://experti.ge/1995shevardnadze_da_stalini.htm (28.06. 2018).

რიოდებში მოსამართლე იყო. საფრანგეთში სწავლისა და მუშაობის რამდენიმე წლიანი გამოცდილების შემდეგ თეა წულუკიანი ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიაში გაწევრიანდა და ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის მხილებით გაითქვა სახელი. თავიდან სააკაშვილთან იყო, შემდეგ კი რადიკალურ ოპოზიციას შეუერთდა პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე, რომლის მამა, ანზორ ბურჯანაძე შევარდნაძის ახლო გარემოცვას ეკუთვნოდა როგორც კომუნისტურ, ისე პოსტ-საბჭოურ პერიოდებში.

როგორც ზემოთ ითქვა, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ელიტის ანალიზი რაოდენობრივი მეთოდებით უნდა გაგრძელდეს. წინასწარი დაკვირვებით, მასში პოსტ-კომუნისტური სამყაროსათვის დამახასიათებელი (Zankina 2010) კვლავწარმოების ქარგა იკვეთება. ამასთან, ქართული პოლიტიკური კლასი თანდათან ემსგავსებოდა „დაშლილი“ ელიტის ტიპს, რომლის ფრაქციებიც ვერ თანხმდებიან ქცევის მისაღებ წესებსა და არსებულ ინსტიტუტთა ლეგიტიმურობაზე (Field et al. 1990, 154). ამას განაპირობებდა როგორც მტრული, შავ-თეთრი დისკურსი, ისე კოლექტიური მეხსიერება, რომელიც გამოირჩეოდა ოპონენტებისა თუ მათი სოციალური წინაპრების მოძალადეობად და მსხვერპლდობად დაყოფით. იგივე სააკაშვილის მმართველობის ხანაში კვლავ ჩვეული გახდა ოპოზიციაში „კრემლის აგენტების“ და „მოლალატეების“ გამოვლენა.

მას შემდეგ, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით ახალი რევოლუციურ/კონტრ-რევოლუციური ეტაპი დაიწყო და სააკაშვილის ნაციონალიზმი რუსეთთან რეკონსილიაციის ივანიშვილისეული დისკურსით ჩანაცვლდა, მანიქველურმა ატიტუდებმა ახალი იმპულსი მიიღო. წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა დემონიზაციას დაემატა მათი სისხლის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დევნა. ხდებოდა ფიზიკური თავდასხმებიც. ოპოზიციის საწინააღმდეგო, ცილისმწამებლური მედია კამპანიები არც სააკაშვილის ეპოქისათვის იყო უცხო. მაგრამ ამჯერად მეთოდოლოგია გაცილებით ინტენსიური ხდებოდა: 2015 წლის 18 ოქტომბერს ზუგდიდსა და თბილისში პრო-სამთავრობო ჯგუფებმა მოაწყვეს პოლიციელთა მხრიდან სააკაშვილის მმართველობის დროს მომხდარი სექსუალური ძალადობის ვიდეოკადრების საჯარო დემონსტრირება. ამას მოყვა ოპოზიციურ ოფისებზე თავდასხმები და პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ სააკაშვილის პარტია – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კრიმინალური ორგანიზაციაა და მასზე თავდასხმა ბუნებრივია (Human Rights Watch 2016, 274). ოპონენტების კრიმინალდობად მოხსენიება და სათანადო ვიზუალური იმიჯების შემცველი ბანერების დედაქალაქის თვალსაჩინო ადგილებზე დაყენება იყო სახელისუფლებო „ნოუ ჰაუ“ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ივანიშვილის ეპოქამ საბჭოთა ბილიკზე დამოკიდებულების კიდევ ერთი სტილისტური ხერხის ინოვაციური სახეობა შექმნა – ეს იყო ოპონენტთა პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროება მათი დისკრედიტაციის მიზნით. პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების შექმნა წინა ხელისუფლების დროსაც ხდებოდა, მაგრამ საჯარო ტირაჟირება სიახლეს წარმოადგენდა.

ივანიშვილის დროინდელი მმართველი პარტიის, ქართული ოცნების ბირთვისა და ოპოზიციაში წასული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ურთიერთსიძულველი, მნიშვნელოვანწილად, ასეთი პროპაგანდით იყო წახალისებული და 2004-2018 წლებში თანამდებობის პირთა მონაწილეობით მომხდარი რიგი კრიმინალური ამბების ინტერპრეტაციებს ეყრდნობოდა. დაპირისპირების უფრო ღრმა, სტრუქტურულ მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოებაც, რომ მხარეები ერთმანეთის პოლიტიკებს დიდწილად არალეგიტიმურად მიიჩნევდნენ. ნათქვამი ეხება როგორც სააკაშვილის ანტიკრიმინალურ და ანტიკორუფციულ

კამპანიებს, ისე ივანიშვილის არაფორმალურ მმართველობას, რაც პრემიერ მინისტრის თანამდებობიდან მისი ნებაყოფლობით წასვლის შემდეგ დამყარდა. ისევე როგორც შევარდნაძის დროს, ახლაც, დაპირისპირებების პოსტ-შევარდნაძისეულ ეტაპებზე, ოპოზიცია არ ცნობს მრავალი დარღვევით დალდასმული არჩევნების სამართლიანობას. შესაბამისად, სახეზეა „დაშლილი“ პოლიტიკური ელიტის მთავარი ნიშანი – მისი ნაწილები არ აღიარებენ რიგი ინსტიტუტებისა თუ ერთმანეთის ლეგიტიმურობას.

მაგრამ ამ დაპირისპირებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი რჩება კომპლექსური მოგონებანი საბჭოთა წარსულის შესახებ და საზოგადოებრივი სტრატეგიკაციის ის ქარგა, რომელიც მაშინ ჩაისახა და ჯერაც ცოცხალია. ჰანფი და ნოდია თვლიან, რომ პრივილეგირებულობა საბჭოთა კავშირში არა ქონებით, არამედ ძალაუფლებასთან სიახლოვეთ იყო განპირობებული (Hanf and Nodia 2000, 46). ამ სიახლოვეში ტერიტორიული განზომილებაც იგულისხმებოდა – ქალაქის მცხოვრები სოფლებზე უკეთ იყო უზრუნველყოფილი სოციალურად თუ კარიერული წინსვლის შესაძლებლობებით. დედაქალაქის ცენტრში მაცხოვრებლები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ნომენკლატურული და შემოქმედებითი ინტელიგენციის ოჯახები წარმოადგენდნენ, ნელ-ნელა განსაკუთრებულად გამორჩეულ კოლექტიურ იდენტობას ივითარებდნენ (მათიაშვილი 2015). სწორედ მათი გავლენა და გემოვნება თამაშობდა განსაკუთრებულ როლს პოსტ-საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ ბატალიებში. ამ წრემ (და ასეთი პრივილეგირებული ფენები სხვა ქალაქებშიც არსებობდა) საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვანი სოციალური კაპიტალი დააგროვა, რაც, პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციისას, გზის გაკვალვის დამატებით ბერკეტებს ქმნიდა. როგორც ვთქვით, კომუნისტური იდეოლოგიის დამცველი გვიანსაბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში სანთლით საძებარი ხდებოდა, მაგრამ ბუნებრივია, რომ თაობების განმავლობაში სოციალურად და პოლიტიკურად დაწინაურებულთა მეხსიერება დისიდენტების, იდეური ლიბერალების თუ მარგინალური ფენების მოგონებების ანალოგიური ვერ იქნებოდა.

ელიტების თანამედროვე თეორეტიკოსები პოლიტიკურ კლასისა და სოციალური ფენების კორელაციის საკითხს ფრთხილად ეკიდებიან (Field et al. 1990). ითვლება, რომ პოლიტიკოსებს, თავის სოციალურ წარმომავლობაზე მეტად, პირადი ძალაუფლება ადარდებთ. მაგრამ ვფიქრობ, რომ, ერთი მხრივ ზვიად გამსახურდიას, მეორე მხრივ კი ედუარდ შევარდნაძის მომხრეთა ბირთვი სწორედ იმის მიხედვით ყალიბდებოდა, თუ ვის რა მოგონება ჰქონდა საბჭოთა წარსულზე. დაყოფის ამგვარი, სოციალურ-ფსიქოლოგიური პრინციპი შემდგომშიც გაგრძელდა. სააკაშვილი პირად საუბრებშიც და საჯაროდაც აცხადებდა, რომ თბილისის ცენტრის მაცხოვრებელთა დიდ ნაწილთან იდეური გაუცხოება ჰქონდა. რა თქმა უნდა, პოსტსაბჭოთა ქართული საზოგადოების როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური და, საბოლოო ჯამში, პოლიტიკური სტრატეგიკაცია არაერთმნიშვნელოვანი პროცესია. მაგრამ თუ პირადი კავშირები, სოციალური კაპიტალი და მენტალურ-მატერიალური ფესვები რამეს ნიშნავს, დიდი გადაჭარბება არ იქნება იმის თქმა, რომ, ერთი მხრივ, გამსახურდია და სააკაშვილი, მეორე მხრივ კი შევარდნაძე და ივანიშვილი განსხვავებულ სოციალურ საყრდენებს ფლობდნენ. ამ საყრდენთა სათავეები საბჭოთა ეპოქის ფარულ კლასობრიობაში იყო.

საბჭოთა პერიოდის პირადი თუ კოლექტიური მოგონებები განხეთქილებების მიზეზი თუ საბაზი ოპოზიციის რიგებშიც გამხდარა. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას სააკაშვილის ოპოზიციური პარტიის კანდიდატმა, გრიგოლ ვაშაძემ „დოიჩე ველესთან“ ინ-

ტერვიუში განაცხადა, რომ იგი ამაცობდა ახალგაზრდობაში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის ფაქტით.¹¹ მიუხედავად იმისა, რომ ვაშაძე ინტერვიუში ხაზს უსვამდა კონკრეტულად განიარაღებაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობით სიამაყეს, შიდაოპოზიციურ დებატებში ეს ფრაზა დღემდე მისი დამუნათების იარაღია.

რაც შეეხება საბჭოთა ბილიკზე დამოკიდებულების ქართული მაგალითის მესამე განზომილებას, ანუ პოლიტიკური მართვის სისტემის მემკვიდრეობითობას, იგი, უპირველეს ყოვლისა, ორი ურთიერთდაკავშირებული ასპექტით ვლინდება. ერთი შერჩევითი სამართალია, მეორე კი – მმართველი პარტიისა და სახელმწიფო აპარატის შერწყმა. 1992-1993 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს ოპოზიციის ნაწილი მუდმივად იყო როგორც შერჩევითი სამართალის, ისე რეპრესიების საფრთხის წინაშე და, შეძლებისდაგვარად, ხელისუფლების მომხრეებს იგივეთი პასუხობდა. მაგრამ პოლიტიკურ ოპონენტებს, არა მხოლოდ ფსიქოლოგიურად, არამედ სისხლის სამართლებრივად, დევნიდნენ მანამდეც და მერც.

როგორც წესი, ჩვეულებრივ ამბად იყო ქცეული საჯარო საპროტესტო აქციების დარბევა. ამ მხრივ, გარკვეული სიახლე ივანიშვილის ხელისუფლებამ მოიტანა: 2012 წლიდან გახშირდა „თვითორგანიზებული“ ჯგუფების თავდასხმები პოლიტიკურ ოპონენტებზე. შერჩევითი სამართლის გამოვლენა კი ასეთი თავდამსხმელებისა თუ ძალის გადაამეტებაში შემჩნეული პოლიციელებისადმი სასამართლო სისტემის ლმობიერება იყო. ნათქვამის ყველაზე გვიანდელი მაგალითი 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის დაშლის დეტალებია. პოლიციელთა მიერ ნასროლი რეზინის ტყვიებით ორმა მოქალაქემ დაკარგა თვალი, მაგრამ მათ დაზარალებულის სტატუსი დღემდე არ მიუღიათ.

კორუფციის ან თანამდებობის სხვაგვარად ბოროტად გამოყენებისათვის შევარდნაძის მმართველობის ხანაში ნაკლებად თუ ისჯებოდა ვინმე. სააკაშვილის პერიოდი ამ მხრივ გამორჩეული იყო – შევარდნაძის ელიტის არაერთი წარმომადგენელი თუ ჩვეულებრივი მოხელე მიეცა პასუხისგებაში, რამაც კორუფციის მასშტაბი შეამცირა. მაგრამ სააკაშვილის დროის პროკურატურასა და სასამართლო სისტემას სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესის უსამართლობაში დებდნენ ბრალს. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ კი 2006 წელს მოქალაქე სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მხილებული პოლიციელების სახელმწიფო მფარველობა გამოავლინა. თავის მხრივ, შერჩევითი სამართლის არაერთი შემთხვევა ფიქსირდება ივანიშვილის მმართველობის პერიოდში. ყველაზე განმაურებული სააკაშვილის დროინდელი პრემიერ მინისტრის, ვანო მერაბიშვილის საქმეა. ივანიშვილის პროკურატურის მიერ მისი დაპატიმრება და პენიტენციურ დაწესებულებაში მის მიმართ განხორციელებული ქმედებები სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ პოლიტიკურად მოტივირებულად ჩათვალა.¹²

მერაბიშვილისა და თბილისის ყოფილი მერის (2005-2013 წწ.), გიგი უგულავასათვის წაყენებულ ბრალდებებს შორის იყო პარტიული აქტივისტების საჯარო სამსახურში და-

¹¹ Deutsche Welle, 7.11.2018 <https://www.dw.com/en/georgian-candidate-grigol-vashadze-denies-tight-russias/a-46197576> (25.10.2019).

¹² Civil Georgia (2016) *ECHR's Ruling into Merabihvili's Pretrial Detention Case*, http://www.civil.ge/eng_old/article.php?id=29228 (28.06.2018).

საქმება. ამავე დროს, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად აფიქსირებდნენ, რომ მომხრეების უმუშევრობის პრობლემას გადაწყვეტდნენ.¹³ ივანიშვილი ენთუზიამით აბრალებდა კორუფციას საკუთარი ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს რიგ მოხელეებს. მაგრამ ეს მოხდა მაშინ, როდესაც მინისტრ ალასანიასთან ურთიერთობა გაუფუჭდა. ამ და არაერთ სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც კორუფციული თუ სხვა სახის საქმეები ხელისუფალთა ნებით აღიძრებოდა ან არ აღიძრებოდა, კვლავინდებურად აქტუალურია საბჭოთა სამართლებრივი პრაქტიკის გახსენება: იმდროინდელი ანტიკორუფციული ტალღების ანალიზი აჩვენებს, რომ მთავარი იყო არა პრობლემის გადაწყვეტა, არამედ კლანობრივი ბრძოლა ძალაუფლებისათვის (Clark 1993, 276-277).

პარტიისა და სახელმწიფო აპარატის შერწყმა, რისი ნიშნებიც ზემოთაღწერილი მაგალითებითაც იკვეთება, საბჭოთა მმართველობითი სისტემის არსებითი მახასიათებელი იყო. პოსტ-საბჭოთა საქართველოს საჯარო სამსახურს მუდმივად ახასიათებდა არჩევნების შედეგებით განპირობებული მრავალრიცხოვანი საკადრო ცვლილებები. როგორც წესი, გამარჯვებული პარტია იკავებდა საკომანდო ადმინისტრაციულ პოზიციებს მმართველობის მთელ ვერტიკალზე. ამ თუ უშუალოდ პარტიული ბერკეტებით მმართველი გუნდი ცდილობდა გაეკონტროლებინა ისეთი ორგანიზაციებიც, რომლებიც ფორმალურად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. ესეთებია სპორტსმენტა პროფესიული გაერთიანებები თუ სტუდენტური თვითმმართველობები. სახელმწიფო და პარტიული ხაზების აღრევა ბიზნესწრეებზეც ახდენდა გავლენას. ქართულ საგამოძიებო ყურნალისტიკას არაერთი მასალა მოუშაადებია, რომლიდანაც ჩანს კორელაცია ბიზნესის მხრიდან მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიების დაფინანსებასა და სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებებს შორის.

მაგრამ არასოდეს ყოფილა საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა მმართველობითი სისტემები ისე ახლოს, როგორც 2018 წლიდან: როდესაც მილიარდული ივანიშვილის მეთაურობით შექმნილი კოალიცია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, სრულიად ლოგიკურად, ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავა. დაახლოებით ერთ წელიწადში მან დატოვა სახელმწიფო პოსტიც და კოალიციის ძირითადი პარტიის – ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარეობაც. რეალურად, მისი გავლენა ხელისუფლების შტოებზე თუ არ გაიზარდა, არც შესუსტებულა. 2018 წლის აპრილიდან კი იგი კვლავ გახდა პარტიის თავმჯდომარე. ამის შემდგომ, მისი ჩარევა მთავრობის საქმიანობაში, პრემიერ-მინისტრების ხშირი ცვლა (რომლებიც, როგორც წესი, მის პირად ბიზნეს-კორპორაციასთან დაკავშირებული პირები არიან), უკვე ოფიციალურად აიხსნება და მართლდება მმართველი პარტიის თავმჯდომარეობით. 90-იანი წლების რუს პრემიერ-მინისტრს, ვიქტორ ჩერნომირდინს მიეწერება პოპულარული ფრაზა – „რა საზოგადოებრივ ორგანიზაციასაც არ უნდა ვქმნიდეთ, კომპარტია გამოგვდისო“ (Ведомости, 2010). ვფიქრობ, იგი ქართულ რეალობასაც მიესადაგება და საბჭოთა ბილიკზე დამოკიდებულების ხატოვან შეფასებას წარმოადგენს.

დასასრულს მინდა გავიხსენო მასლოვსკის ზემოთნახსენები შეფასება, რომ თანამედროვე რუსეთში საბჭოთა სახელმწიფოს ძალადობრივი აპარატის პრივატიზაცია მოხდა. ვფიქრობ, საბჭოური კოლექტივიზმის შემდეგ განხორციელებული განსახელმწიფოებრი-

13 ტაბულა (2014) კალაძე: ჩვენი სიძლიერე ისაა, რომ პოლიტიკური შეხედულებებით არ ვარჩევთ კადრებს <http://www.tabula.ge/ge/story/80467-kaladze-chveni-sidzliere-isa-rom-politikuri-shexedulebebit-ar-varchevt-kadrebs> (28.06.2018).

ობის მსგავსი ორიგინალური ტენდენცია საქართველოშიც თვალში საცემია. იყო პერიოდი, როდესაც ძალადობას „სახელმწიფოს სახელით“ შეიარაღებული საძმოები ახორციელებდნენ. ამჟამად კი სახეზეა მილიარდერი ივანიშვილის მიერ „სახელმწიფოს მიტაცების“ ტენდენცია: 2019 წლისათვის პრემიერ მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის და თავდაცვის მინისტრის პოსტებს მისი ფირმის ყოფილი თანამშრომლები იკავებენ, რასაც ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა უმაღლეს პოლიტიკურ რანგში აჰყავს. პირდაპირ თუ ირიბად, მსგავსი მოვლენაც იმ პრობლემური საბჭოთა მემკვიდრეობის შედეგია, რაზეც სტატიაში იყო საუბარი.

დასკვნა

საქართველო დღესაც რევოლუციურ ქარტეხილებს განიცდის. დამოუკიდებლობის სამი ათეული წელი პოლიტიკური კლასის გახლენას, მისი ფრთების სასტიკ კონფორმტაციას და დემოკრატიული ინსტიტუტების უაღრეს სისუსტეს აჩვენებს. ეს ნეგატიურად აისახება რიგითი მოქალაქეობის დაცულობის ხარისხზე. ვითარებას ამძაფრებს ზეწოლა რუსეთიდან, რაც, ყველაზე თვალნათლივ, ქვეყნის 20 პროცენტის ოკუპირებაში გამოიხატება. თუმცა ჩვენი თბრობა საგარეო პოლიტიკას არ ეხებოდა. სტატიის ფოკუსი იმაზე იყო, თუ რა უშლის სახელმწიფოს, იყოს უფრო მზად საგარეოპოლიტიკურ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

ქვეყნის პრობლემათა მიზეზი მრავალგვარია. მათ შორისაა ეკონომიკური სისუსტე თუ კონკრეტულ ქართველ პოლიტიკოსთა პიროვნული მახასიათებლები. მაგრამ თუ დღეს საქართველო „ნახევრად თავისუფალ ქვეყანათა“ რანგში გადის, ამას სტრუქტურული, უფრო სწორად ისტორიულ-ინსტიტუციონალური გარემოებებიც განაპირობებს. ასეთთა შორისაა ორმაგი მორალი, საზოგადოების ატომიზაცია, ელიტათა „დაშლილობა“ და პოლიტიკის ნულოვან-ჯამური სტილი, რაც, მნიშვნელოვანწილად, საბჭოთა ბილიკზე დამოკიდებულების მანიფესტაციებია. სანამ ეს გარემოებები სახეზეა, საბჭოთა კავშირის გარდაცვალების რწმენა გადაჭარბებული მგონია.

ყველა სოციოლოგიური კვლევით მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა ეკლესიისადმი ლოიალურობასა და ნდობას გამოხატავს. მათ შორისაა პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილიც. გუშინდელი საბჭოთა ნომენკლატურის წევრები თუ მათი მემკვიდრეები დღეს გმობენ კომუნისტურ ათეიზმს. კონიუქტურითა თუ შინაგანი რწმენით, ისინი მღვდელმსახურებთან მეგობრობას უსვამენ საჯაროდ ხაზს. მაგრამ რეალური საბჭოურობა იმაშიცაა, რომ ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყალიბი თუ დერივაცია (მარქსიზმ-ლენინიზმი), მეორეთი (მართლმადიდებლობა) ნაცვლდება. მით უმეტეს, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მრავალი იერარქი სტალინს (!) ეკლესიის მფარველად აღიქვამს (ლიკლიკაძე 2013).

გამოყენებული ლიტერატურა

- გვანარია, გიორგი. 2003. ქსენოფობია – ქართული პოლიტიკის განუყოფელი ატრიბუტი. რადიო თავისუფლება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1531918.html> (28.10.2018).
- ლიკლიკაძე, კობა. 2013. სტალინი და პატრიარქი. რადიო თავისუფლება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/koba-liklikadze-blog-stalin-and-patriarch/25062974.html> (28.10.2018).
- მათიაშვილი, მარიამ. 2015. თბილისი იყო ურთიერთობა, ისტორიის რეკონსტრუქციები NO. 1: 85-100.
- ჯონსი, სტივენი. 2013. საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. მთარგმნ. ხ. ჩხეიძე. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
- ჰეივუდი, ენდრიუ. 2004. პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი. თბილისი: ლოგოს პრესი.
- Barnett, Vincent. 2006. Discussion article, Understanding Stalinism – the “Orwellian Discrepancy” and the “Rational Choice Dictator”, *Europe-Asia Studies*, Vol 58, no 3 (May): 457-466.
- Boas, T. C. (2007) Conceptualizing continuity and change. The composite-standard model of path dependence. *Journal of Theoretical Politics* 18(1), 33–54.
- Daniel Kimmage, “Russia: selective capitalism and kleptocracy,” in *Undermining Democracy: Twenty-first Century Authoritarians* (Washington, DC: Freedom House, 2009) 49-64.
- De Waal, Thomas. 2017. Bolshevik Squabbles Still Shape the Caucasus. Carnegie Europe. <https://carnegieeurope.eu/2017/11/01/bolshevik-squabbles-still-shape-caucasus-pub-74609> (20.10.2018).
- Fairbanks, Charles. “Beria, His Enemies, and Their Georgian Clienteles, 2949-1953.” *Conference On Nationalism and Social Change in Transcaucasia*, paper 119, April 24-25, 1980.
- Fairbanks, Charles H. 2000. Russia under Putin: the feudal analogy, *Journal of Democracy* 11, no. 3: 34–36.
- Field, Lowell G., John Higley and Michael G. Burton. 1990. A new elite framework for political science, *Revue européenne des sciences sociales*, no. 88: 149–182.
- Fitzpatrick, Sheila. 1999. *Everyday Stalinism: Ordinary Life in Extraordinary Times: Soviet Russia in the 30s*. New York: Oxford University Press.
- Fitzpatrick, Sheila. 2001. *The Russian Revolution*. Oxford: Oxford University Press.
- Galtung, Johan. 1990. Cultural violence. *Journal of Peace Research* 27, no. 3: 291–305.
- Hanf, Teodor and Ghia Nodia. 2000. *Georgia, Lurching to Democracy. From Agnostic Tolerance to Pious Jacobinism: Societal Change and People’s Reactions*. Baden-Baden: Nomos Verlagsgesellschaft.
- Hobbes, Thomas. 1651. *Leviathan or the Matter, Forme, & Power of a Common-wealth Ecclesiasticall and Civill*. London
- Human Rights Watch. 2016. *World Report 2016. Events of 2015*. New York: Human Rights Watch. https://www.hrw.org/sites/default/files/world_report_download/wr2016_web.pdf (28.10.2018).
- Laitin, D. David. 2000. Posts-Soviet Politics, *Annual Review of Political Science* vol. 3: 117–148.
- Lieven, Domenic. 1994. Western scholarship on the rise and fall of the Soviet regime: the view from 1993. *Journal of Contemporary History*, Vol. 29, no. 2: 195–227.
- Maslovskii, Mikhail. 2015. The Soviet model of modernity and Russia’s post-communist political transformation. *Historicka Sociologie* no. 2: 45–60
- Mosca, Gaetano. 1939. *The Ruling Class*, NY and London: McGraw-Hill Book Company.
- Nisnevich, Yuliy and Andrey Ryabov. 2017. Post-Soviet authoritarianism. *Social Sciences* 48, vol. 3: 80–94.

- Pipes, Richard. 1974. *Russia under the old regime*. New York: Scribner.
- Putnam, Robert. 1993. *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*, Princeton, NJ: Princeton University Press.
- Ronald Jepperson, Alexander Wendt and Peter Jr. Katzenstein, “Norms, identity, and culture in national security,” in *The Culture of National Security: Norms and Identity in World Politics*, ed. Katzenstein, Peter Jr. (New York, NY: Columbia University Press, 1996) 33-79.
- Stephen Farrall, Emily Gray, Will Jennings and Colin Hay. 2014. Using Ideas Derived from Historical Institutionalism to Illuminate the Long-Term Impacts on Crime of ‘Thatcherite’ Social and Economic Policies: A working Paper. *Long-term Trajectories of Crime in the UK Working Paper* no. 1 (January) https://www.sheffield.ac.uk/polopoly_fs/1.339300!/file/WorkingPaper1HistoricalInstitutionalism.pdf (20.10.2019).
- Telegram, George Kennan to George Marshall [“Long Telegram”], February 22, 1946. Harry S. Truman Administration File, Elsey Papers. https://www.trumanlibrary.org/whistlestop/study_collections/coldwar/documents/pdf/6-6.pdf (15.4.2016).
- William , Clark A. 1993. Crime and Punishment in Soviet Officialdom, 1965-1990, *Europe-Asia Studies*, Vol 45, No 2: 259-279.
- Zankina, Emilia. 2010. Transformation of the Bulgarian Political Elite in the Period of Transition. Its Impact on the Transition Process. PhD diss, University of Pittsburgh.
- Виктор Черномырдин, цитаты, Ведомости, https://www.vedomosti.ru/politics/articles/2010/11/03/viktor_chernomyrdin_citaty 3.11.2010 (8.11. 2020)
- Коллингвуд, Джордж Робин. 1980. *Идея Истории. Автобиография*. Москва: изд. Наука.
- Медведев, Сергей. 2017. *Парк Крымского Периода. Хроники Третьего Срока*. Москва: Individuum.
- Хлевнюк, Олег. 2017. *Сталин, жизнь одного диктатора*. Москва: издательство АСТ.